619
1975





ეროვნული
ბიბლიოთეკა







# დროშა

აგვისტო
№ 8 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მირიან კოკოლაშვილი.

# მირიანი და მისი მეგობრები

მირიანი ყურადღებით უსმენს ახალბედა გვირაბგამყვან გივი ახალაიას.



მირიან კოკოლაშვილის ბრიგადა.





ა. სააკოვის ფოტო



შემოქმედებითი შრომა ჩვენს რესპუბლიკის ახალმშენებლობებზე. ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის გმირულ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ახალგაზრდა თაობა, ამრავლებს და ავითარებს მამათა შრომით მიღწევებს.

ამ თაობის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია მირიან კოკოლაშვილი. ქარელის რაიონის სოფელ ავლევის მკვიდრი, თბილისის № 26 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს „თბილგვირაბმშენში".

თბილისის მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველის მოედანი" იყო მისი შრომითი გზის დასაწყისი. აქ დაეუფლა იგი გვირაბგამყვანის ურთულეს, ჭეშმარიტად მამაკაცურ პროფესიას, აქ იგრძნო მან შემოქმედებითი შრომის პირველი სიხარული, და როდესაც სამხედრო სამსახური მოიხადა, გულმა კვლავ აქეთკენ გამოუწია.

ტანდაბალი, ჩაფსკვნილი, შრომასშეჩვეული დაკოჟრილი ხელებით, მოკრძალებული, გულღია — ასე გამოიყურება ეს 26 წლის ახალგაზრდა მუშა, დღეს სათავეში რომ უდგას მეტროპოლიტენის გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას.

მირიანისა და მისი მეგობრების ნამდვილი დღესასწაული იყო, როდესაც თბილისის მიწისქვეშა მაგისტრალზე პირველი ცისფერი ექსპრესი გასრიალდა.

მირიანის ბრიგადამ უკვე გახსნა 1976 წლის ანგარიში და სათავეში უდგას გვირაბგამყვანთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. „ერთი ყველასათვის — ყველა ერთისათვის" — ამ დევიზით შრომობს დღეს ბრიგადის ყველა წევრი და მზად არის დაეხმაროს ამხანაგს, მხარში ამოუდგეს მას. თანამედროვე რთულ ტექნიკას დაუფლებული ბრიგადის წევრები სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ. მარტო მიმდინარე წელს მათ იკისრეს დაზოგონ ხუთი ათასი მანეთის სამშენებლო მასალა. ბრიგადის ყველა წევრი სწავლობს, ხოლო ბრიგადირმა ახლახან დაამთავრა პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

იგი რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მისი ინიციატივით შემუშავდა მეტრომშენებელთა კომკავშირული ორწლედი, რომლის ამოცანაა სამშენებლო ობიექტების ვადაზე ადრე დამთავრება.

საზოგადოებისათვის, ხალხის უკეთესი მომავლისათვის გაწეული შრომა ყოველთვის ფასდება. ამიტომ იყო, რომ შარშან მირიან კოკოლაშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.



- კომკავშირის კომიტეტში.
- ამომრჩევლის წერილი.
- სამუშაოსაკენ.
- დეპუტატის ფიქრები.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 8 (464) აგვისტო, 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1975

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია

ოქტომბერმა შემოაბრუნა კაცობრიობის ისტორია. დაიწყო ადამიანის მატერიალური, სულიერი ემანსიპაციის, განთავისუფლების ხანა.

ოქტომბერი კი 1905-1907 წწ. რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან სოციალისტური რევოლუცია რუსეთში აუცილებლად გაიმარჯვებდა.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ოქტომბერი კაცობრიობის განვითარების შედეგი იყო; სულიერად ის დიდი რუსი ხალხის, რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ მრავალი ხალხის, ერების ბრძოლამ, შემოქმედებამ, აზრმა წარმოქმნა.

მშრომელ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, თავისუფლებისათვის. ხალხი იბრძოდა არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ემანსიპაციისათვისაც.

ლენინი, ბოლშევიზმი, ლენინიზმი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდი კულტურების გარკვეულ მომენტებში ბუნებრივი განვითარების შერწყმის შედეგია.

ლენინიზმი ხომ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმია. ამ ეპოქამ კი მრავალი ისეთი ახალი პრობლემა წარმოქმნა, რომელიც უცნობი იყო მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციურმა ტალღამ რუსეთში შემოაღწია და დამკვიდრდა. ამ პროცესს ხელი შეუწყო, დააჩქარა რუსი ხალხის, იმპერიაში მცხოვრებ ყველა სხვა ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ.

რუსეთი გადაიქცა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის არენად. XX საუკუნის დიდი პოლიტიკური, ეკონომიური ძვრები სულიერად შეამზადეს პუშკინმა და გოგოლმა, დეკაბრისტებმა, ბელინსკიმ, დოსტოევსკის, ტოლსტოის გენიამ. სოციალური, ეროვნული თავისუფლებისათვის სხვა მებრძოლ ხალხთა სულიერმა მამებმა — ჩვენში ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, სხვებმაც, რასაკვირველია. შემთხვევითი არ იყო, რომ სამივემ იმთავითვე უმღერა 1905-1907 წწ. რევოლუციის პირველ ნაბიჯებს.

1905-1907 წწ. რევოლუციური ამბები იმ თავდადებული ბრძოლების ლოგიკური დასკვნა იყო, რომელსაც რომანოვების იმპერიაში შემავალი ხალხები, პირველ რიგში, რუსი ხალხი საუკუნეების მანძილზე აწარმოებდნენ.

ისტორიაში შემთხვევითობებიც როდია გამორიცხული, ოღონდ, დასავლეთის ზოგიერთი ვაისწავლული ისტორიკოსის მტკიცებანი, რომ ამ საუკუნის რუსეთის რევოლუციები ისტორიული გაუგებრობის შედეგია, უკეთეს შემთხვევაში, მემატიანეთა უვიცობით უნდა ავხსნათ. 1905-1907 წლების ამბები, 1917 წლის ოქტომბერზე რომ არაფერი ვთქვათ, აბსოლუტურად კანონზომიერი მოვლენები იყო. ეს საბოლოოდ დაამტკიცა ამ საუკუნის ამბებმა.

მართლაცდა, 1905-1907 წწ. რევოლუციის ათი წლის შემდეგ გაიმარჯვა ოქტომბერმა, ერთი დარტყმით რუსეთში ბოლო მოეღო ფეოდალიზმის ნაშთებს, კაპიტალიზმის ბატონობას, დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა. ამავე საუკუნეში მოვსპეთ ფაშიზმი, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, დაირღვა იმპერიალიზმისაგან საუკუნეების მანძილზე შექმნილი კოლონიური სამყარო. გადაიშალა კაცობრიობის ისტორიის ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი. თუ ყველაფერი ეს შემთხვევითობაა, მაშ, რაღა არის კანონზომიერება?!

ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში ასე ფართოდ აღინიშნება 1905-1907 წწ. რევოლუციის 70 წლისთავი.

მიწის ფეოდალურ-მემამულურ საკუთრებაზე დაფუძნებული რუსეთის იმპერია XIX საუკუნისათვისაც უკვე ისტორიულ ანაქრონიზმად გადაიქცა. რუსეთის მემამულეები ის კლასი გახდა, რომელსაც არ შეეძლო სახელმწიფოს მეთაურობა და მისი პროგრესის უზრუნველყოფა.

რუსეთის საზღვრებში მცხოვრებ ხალხთა შემოქმედებითი პოტენცია მუხრუჭებში მოექცა. ტერიტორიულად ამ უზარმაზარმა სახელმწიფომ XIX საუკუნეში, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ფაქტიურად ვერც ერთი ომი ველარ მოიგო. რუსეთში თითქოს ისტორიულ პარადოქსთან გვქონდა საქმე. გლეხი, ჯარისკაცი თავდადებით იბრძოდა სამშობლოსათვის, მეფე და თავადი, თუ აზნაური გენერლები ომებში მარცხდებოდნენ.

მმართველი კლასები, ის ადმინისტრაცია, რომელიც სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა, მორალურადაც გაირყვნა, დაიშალა. რასპუტინის თავგადასავალიც რად ღირს?!

ოქტომბერმა, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მცხოვრები მშრომელი ხალხების რევოლუციურმა ენერგიამ, მათმა ბრძოლამ გამოიყვანა ეს სახელმწიფო იმ ისტორიული ჩიხიდან, რომელშიც ის მოექცა გაბატონებული კლასების უყაირათობის გამო.

რუსეთი ახალი კაცობრიობის მედროშედ მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობამ ისტორიის ავანგარდში მოაქცია.

1905-1907 წწ. რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო. 1905 წლის 9 იანვარს „სისხლიან კვირას" დაიწყო მთელს რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ძლიერი აღმავლობა.

ვ. ი. ლენინი წერდა: „იწყება აჯანყება. ძალა უპირისპირდება ძალას. გაჩაღებულია ქუჩებში ბრძოლა, შენდება ბარიკადები, გრიალებს ზალპები და ქუხს ზარბაზნები. სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი. მუშების ლოზუნგი გახდა: სიკვდილი ან თავისუფლება!" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 67).

ამიერკავკასია, საქართველო რევოლუციის ავანგარდის რიგებში აღმოჩნდა. 1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა. იგივე იყო ჭიათურაში, ბათუმში, სოხუმში და სხვაგანაც. 8 თებერვალს შეწყდა სარკინიგზო მოძრაობა რიონ-ბათუმისა და სამტრედია-ფოთის ხაზებზე. ქუთაისის გუბერნიაში რკინიგზაზე სამხედრო წესები შემოიღეს.

ლესია უკრაინკა, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა, დედას სწერდა: „სისხლის გუბეები ტროტუარებზე სალამომდე იდგა".

საქვეყნოდ ცნობილია გურიის ამბები. „სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება უკვე ფაქტია გურიაში", — წერდა 1905 წლის მარტში გაზეთი „ვპერიოდი".

ვ. ი. ლენინი შენიშნავდა: „მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში, მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარისა, რომელიც კაპიტალს გამოჰგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები" რუსეთის რამდენიმე ქალაქში, — ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის **დასაწყისი** იყო, პროლეტარიატისა, რომელიც რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას ეყრდნობოდა". (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 204).

გურიის ჯალათმა კრიმ-გირეიმ ერთ მოხუც გლეხს ჰკითხა: „რა გინდა ბებერო, რას აჯანყებულხარო"; გლეხს უპასუხნია: „მე ის მინდა, რაც რუს გლეხს უნდაო".

გაზეთი „ვპერიოდი" წერდა, ასეთი პასუხისათვის ის საწყალი მოხუცი გლეხი ისე სცემეს მათრახით, რომ იქვე გარდაიცვალაო.

კარგად არის ცნობილი ჩვენი პარტიის III ყრილობის მისალმება კავკასიის რევოლუციური გლეხობისადმი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში, ისევე როგორც სხვა განაპირა მხარეებში, ცარიზმის პოლიტიკის დამახასიათებელმა „ნაციონალურმა ჩაგვრამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 414).

შეიარაღებული აჯანყება დეკემბერში საქართველოში, ისევე როგორც მოსკოვის აჯანყება, ცარიზმმა ულმობელი სისასტიკით ჩაახშო, მძვინვარებდნენ დამსჯელი ექსპედიციები, მეფის ჯალათები მხეცურად უსწორდებოდნენ რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს.

სამართლიანად არის აღნიშნული „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში", რომ: „საქართველოს მშრომელებმა გმირი რუსი პროლეტარიატის მხარდამხარ გაიარეს რევოლუციური ბრძოლისა და პოლიტიკური აღზრდის შესანიშნავი სკოლა... საქართველოს მშრომელები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რუს ხალხთან მჭიდრო შეკავშირებით შეიძლება ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამარცხება, სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვება, ახალი, თავისუფალი ცხოვრების შენება".

ვლადიმერ მაჭავარიანი



ნ. ახალოვი. შეტაკება პრესნიასთან.

# ხელის ჩამორთმევა კოსმოსში

ოცდაათი წლის წინ, როცა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ფაშისტ ბარბაროსებს და ბრძოლებში მომქანცველი გზა მდინარე ელბასთან დათავდა, მოკავშირეთა არმიების ჯარისკაცებმა, საბჭოთა და ამერიკელმა მეომრებმა, ერთმანეთს ძმურად ჩამოართვეს ხელი.

ეს ხელის ჩამორთმევა იყო დიადი გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის გამოვლინება და მსოფლიოში მშვიდობის დამყარების თავფურცელი.

ხალხები მოწყურებული იყვნენ მშვიდობას.

ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად გადალახული იქნა რევანშისტებისა და სისხლისმსმელების მიერ წლობით გაჩაღებული ცივი ომის ბარიერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სოიუზ"-„აპოლონის" ერთობლივი პროგრამის მონაწილე კოსმოსურ ხომალდ „სოიუზის" პირველი ეკიპაჟი — ალექსი ლეონოვი (მარცხნივ) და ვალერი კუბასოვი.

გამარჯვების დღიდან განვლილი ოცდაათი წელი ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და სწრაფლ განვითარების წლებია. არნახულ წარმატებას მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ. საბჭოთა კოსმოსური ხომალდები არაერთგზის აჭრილან ვარსკვლავეთში. იური გაგარინის მიერ ცის სივრცეში გაკვალულ გზას ადამიანები უკვე გაბედულად ადგანან.

სულ ახლახან, როცა მღელვარებით ვადევნებდით თვალყურს ორბიტალური სადგურის „სალიუტ-4"-ის ეკიპაჟის, მამაცი კოსმონავტების პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვის თავდაუზოგავ მუშაობას, ცაში აიჭრა კიდევ ორი მამაცი საბჭოთა ადამიანი — ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი, რათა კოსმოსის სივრცეში შეხვედროდნენ ამერიკელ ასტრონავტებს თომას სტაფორდს, ვენს ბრანდსა და დონალდ სლეიტონს.

მთელი მსოფლიო დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ თვალსაჩინო ექსპერიმენტს.

15 ივლისს ორბიტაზე გავიდა საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ 19", ხოლო ორი დღის შემდეგ ტელევიზორის ეკრანზე თვალნათლივ ვიხილეთ ხომალდების „სოიუზისა" და „აპოლონის" შეპირაპირება. როცა ამერიკული ხომალდის მეთაურმა თომას სტაფორდმა და საბჭოთა ხომალდის მეთაურმა ალექსი ლეონოვმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, უნებლიედ გამახსენდა ის ისტორიული დღე, ელბაზე. ეს მართლაც ამაღელვებელი წუთები იყო. ამ ხელის ჩამორთმევას მილიონობით ადამიანი იმედის თვალით შეჰყურებდა, იმიტომ, რომ ორი დიდი ქვეყნის კოსმოსურ ექსპერიმენტს ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს არის მშვიდობის, ურთიერთთანამშრომლობის, კოსმოსის ათვისების ისტორიაში ახალი ფურცელი. ამ ექსპერიმენტით საბჭოეთისა და ამერიკის თანამშრომლობაში ახალი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ხომალდების შეპირაპირების ჟამს მამაც კოსმონავტებს მხურვალედ მიესალმა ლეონიდ ბრეჟნევი, წარმატება უსურვა მათ ერთობლივ ფრენაში. კოსმონავტებს მიესალმა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი.

ფრენა წარმატებით დამთავრდა. გავიდა მღელვარებით აღსავსე დღეები, მაგრამ ადამიანთა გულში სამუდამოდ ჩაითესა დიდი იმედის თესლი, რომელიც უთუოდ გაღვივდება და ჩვენს ლამაზ პლანეტაზე აწ დამკვიდრებული მშვიდობა კიდევ უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს.

მთელი ჩვენი ხალხის გულისთქმაა გამოხატული მისალოც წერილში, რომლითაც ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა, ნ. პოდგორნიმ და ა. კოსიგინმა მიმართეს იმ ადამიანებს, კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს „სოიუზ 19"-ის შექმნასა და გაშვების საქმეში.

მისალმებაში აღნიშნულია ის დიდი წვლილი, რომელიც ამ კეთილშობილურ საქმეში მიუძღვის საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას. მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა ახალი მიღწევებით აღნიშნეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

ამერიკელი ასტრონავტები, რომლებიც მონაწილეობდნენ „სოიუზ"-„აპოლონის" ერთობლივ პროგრამაში — დონალდ სლეიტონი, თომას სტაფორდი და ვენს ბრანდი (მარცხნიდან მარჯვნივ).



სადღაც, ცის შორეულ სივრცეში მიცურავდა კოსმოსური კომპლექსი „სოიუზ-აპოლონი". დიდ და დამქანცველ მუშაობას ეწეოდნენ კოსმონავტები. ეს ყველაფერი თითქოს ჩვენ თვალწინ ხდებოდა, ტელეეკრანმა ისე დაგვაახლოვა მეცხრე ცაში გაფრენილ მამაც ადამიანებთან.

ამ ოცდაათი წლის წინ ელბაზე ჩამორთმეული ხელი ბევრმა თითქოს ვერც დაინახა, ბევრმა მალე მიივიწყა ის ამაღელვებელი წუთები. და აი ახლანდელი ხელის ჩამორთმევა ყველასათვის, მილიონობით ადამიანებისათვის უფრო თვალსაჩინო და მარად დასამახსოვრებელი გახდა. დაე იყოს იგი მყარი, სამუდამო, ადამიანებისათვის საუკუნოვანი მშვიდობისა და ბედნიერების საწინდარი.

თენგიზ გოგოლაძე



სახ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იკურთხოს იმის მარჯვენა...

წითელწყაროს აივაკებთ თუ არა, თვალწინ უნაგირა „ელიას" კირქვიანი გორაკი შემოგხვდებათ. აი, აქედან იწყება შირაქი — საქართველოს პურის ბეღელს რომ ეძახიან. გაჰყურებ ამ სავსე მინდვრებს და თვალი ვერ ძღება. ბუნებას ხვავი და ბარაქა დაუმადლებია შირაქისათვის. ოქროსფრად მოღალანე თავთავებს სიმძიმისაგან თავები დაუხრიათ იმ მიწისაკენ, რომელმაც ღალა მისცა, დააპურა და მომკელსდა ელის. „უფხო პირველისა" და „კავკასიურის" თავთავები ისეა გათანაბრებული, გეგონებათ დალაქს საგულდაგულოდ გადაუკრეჭავს, ანდა ხუროს თარაზოთი გადაუსწორებიაო. ასეთ ყანაზე კახეთში ამბობენ — ზედ ნაბდის გუქი გაგორდებაო.

„იკურთხოს იმის მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო..." მართლაც, იკურთხოს ზემოქედელ მემინდვრეთა და მექანიზატორთა მარჯვენამ, ქვემო ქედელების, არხილოსკალოელების, ზემო მაჩხაანელების, არბოშიკელების, ჯაფარიძელების, გამარჯვებელების, წითელწყაროელებისა და ყველა იმათმა მარჯვენამ, ვინც შირაქში შარშან, ენკენისთვეს შავადგადახნულ ხოდაბუნებში ხორბალი თესა და ააჯეჯილა, დააპურა, მერე უკლებლივ მომკა, გალეწა და ბეღლებს მიაბარა.

არსენ კობაიძეს, მარჯვენაკურთხეულ კაცს, არც სოფელმა და არც ქვეყანამ არაფერი დააკლო. ის სიყვარული, რაც სამამულო ომში უდროოდ დაღუპულ მის ოთხ ძმას დააკლდათ, სოფელმა მეხუთე ძმას, ომის ვეტერანს არსენ კობაიძეს მიუზღო იმ კაი კაცობისათვის, რაც მან ოცდარვა წელიწადში თავმჯდომარეობით დაიმსახურა. ქვეყანამ კი გმირის ოქროს ვარსკვლავით დაუმშვენა მოსიყვარულე და მოჭირნახულე მშრომელი კაცის გულმკერდი. ჩვენი დიადი სახელმწიფოს პარლამენტში ხომ იგი მეორედ აირჩიეს!

„... შირაქს მივდივარ, ძმობილო, უკან მომყვება ქარიო"... უთენია მიიმღერის კომბაინერი მიხეილ ლალიაშვილი და თან მოსკოვში გამოფენაზე ნაჩუქარ „მოსკვიჩს" მიაქროლებს. თავმჯდომარის მანქანა შენიშნა, გაუთანაბრდა და მანქანა დაამუხრუჭა.

— მიშა არა ხარ, კაცო?! ჯერ ხომ არყისფრად არც კი გათენებულა, საით გაგიწევია, ძმობილო?! — მანქანიდან გამოელაპარაკა არსენ კობაიძე.

— შირაქს მივდივარ!.. — მიუგო შავტუხა კომბაინერმა.

თავმჯდომარე მიხვდა, რომ კომბაინერი კარგ გუნებაზე იყო და ჩაეღიმა. მიხეილმა ახლა კი სერიოზული სახე მიიღო და მანქანიდან გადმოვიდა.

— ძია არსენ, წლეულს რესპუბლიკაში პირველ ადგილზე რომ გამოვიდე, რა ჯილდოს მივიღებ?

— როგორ? არც კი იცი, რისთვის იბრძვი?

— როგორ არ ვიცი, მაგრამ შარშან „მოსკვიჩი" უფასოდ მივიღე, წლეულსაც მომცემენ?

— თუ შეჯიბრებაში გაიმარჯვებ, ტელევიზორს არავინ დაგამადლის.

— ტელევიზორი ხომ მაქვს.

— აბა, რა იცოდნენ, თორემ რაც ოჯახში გაკლდა, იმას დააწესებდნენ ჯილდოდ „კომუნისტი" და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, — მიუგო არსენამ.

— ეს ისე, თორემ, ჯილდო ჯილდოა, ძია არსენ. დღეს ადრე იმიტომ მივდივარ, რომ ვატყობ, ყანები ჩვეულებრივზე ადრე გაფიცხდება. შეხედე, იმხელა მზე ამოდის, ნამს ხუთ წუთში აართქლებს!

— აბა, შენ იცი, მიშა, ვინძლო სხვებიც აიყოლიო და მალე მოვრჩეთ პურის მკასა; მინდვრის სხვა საქმეც მოგვეძალა, სადაცაა სასილოსე სიმინდიც ასაღები იქნება, მზესუმზირაცა, ბალახიც მეორედ გაითიბება და...

მიხეილმა თავმჯდომარის მანქანას აცალა წინ წასულიყო. მერე კი მოწყვეტით დაძრა თავისი „მოსკვიჩი" და უკან ჯანღივით აიყოლია სამინდვრე გზებზე მანქანებისაგან მტვრადქცეული შირაქის მიწა.

საველე კალოსპირას კომბაინები შემოჯარულან. მიხეილ ლალიაშვილს თავისი თანამოსაქმენი კომბაინებზე დაუხვდნენ. „როგორ დამასწრეს", ყველაზე ძალიან იმ ინტელიგენტ ახალბედა კომბაინერის მერაბ სუხაშვილის დანახვა „არ ესიამოვნა". „ნახეთ რა დილაადრიან მოსულა. მართლა მეჯიბრება ეგ ბიჭი, მგონი," — თქვა თავისთვის და მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, „ბერეტი" დაიხურა, ხელისაწევით მიესალმა ბიჭებს და თავისი კომბაინისაკენ წავიდა.

კალოს გრძელ ფარდულში კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი კაცილა გაგაძე საველე ბიბლიოთეკარსა და ექთანს რაღაცაზე გაცხარებით ელაპარაკებოდა. მერე გამოირკვა, რომ პარტკომი იმიტომ ცხარობდა, ჟურნალ-გაზეთები კი ბლომად მოგაქვთ, მაგრამ კალოზე საუბრებს არ ატარებთო, ახალი წიგნები არ მოგაქვთო.

— ახალი წიგნების საკითხავად ვის სცალია, კაცილა გაგაძევ! — შეეპასუხა ვიღაცა ქალების ჯგუფიდან.

— რა ვიცი, მერე არ თქვათ ესა და ეს წიგნი არ მოუტანიაო, — უკან დაიხია პარტკომმა, — ვინ იცის, იქნებ საღამოობით ვინმეს უნდა ახალი რომანი წაიკითხოს, ამ ჩვენს შირაქსა ბევრი დაუყენებია პოეტურ განწყობილებაზე.

— კაცილავ. იცი რას გეტყვი, შენ გახარებასა, წიგნი თუ გვინდა, სოფლის ბიბლიოთეკა შორს არ არის. შენ ის ეცადე, იქნებ როგორმე ქალაქელი მომღერლები ჩამოაყვანინო რაიკომის ხალხსა.




— მართალი ხართ, მოვიდნენ, ამაზე კარგი სცენა სადღა იქნება?! — კაცილამ კალოზე ხელი მოატარა და მერე შირაქისაკენ გაიშვირა, — ვეტყვი, რაიკომშიც ვეტყვი და კულტურის სამინისტროსაც მივწერ!

ამასობაში მზე გაფიცხებულიყო და დილაბნელის იისფერი ნისლიც აკრეფილიყო პურის ყანებიდან. მიხეილ ლალიაშვილმა მაინც ყველას დაასწრო, კალოსპირიდან ყველაზე ადრე მისი კომბაინი დაიძრა ყანებისაკენ.

სულ მალე ერთმანეთის მიყოლებით დაიძრნენ ძმები სუხაშვილების, ქოთილა ყველაიძის, მერაბ სუხაშვილის, სულიკო სუნტაძის კომბაინები.

— ჯიბრიანია ეს ლალიაშვილის ბიჭი, წინ არავის გაუშვებს, — მეუბნება არსენ კობაიძე, — მამამისიც ეგეთი იყო... მაგის მამა კომუნამ გაზარდა, უპატრონო ბიჭი იყო... კობა ჩოხელმა მას ცალკე ბინა გამოუყო და მომვლელიც მიუჩინა. მერე კომუნამ დააცოლშვილა.

გმირი მექანიზატორის ნიკოლოზ მელიქიშვილის ბრიგადის თერთმეტი და ადამ წიკლაურის ბრიგადის ცხრა კომბაინი ყოველდღე შეუფერხებლად მკის და ლეწავს შირაქის პურის ყანებს. ეს ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ერთ დღეს რომ პირველი ბრიგადაა წინ, მეორე დღეს — მეორე.

პირველობა ნაკვეთზე, მის მოსავლიანობაზეა დამოკიდებული (ზოგან ყანები უხვმოსავლიანია, ზოგან კი ნაკლებმოსავლიანი და იმაზეა დამოკიდებული, რომელ ბრიგადას, რომელ დღეს სად მოუწევს მუშაობა).

კომბაინერთა ნახელავს კაცი ვერ დაიწუნებს, მინდორს დასტატებული დალაქებივით კრეჭავენ, ერთ თავთავსაც არ ტოვებენ მინდვრად. ნამჯას დაუყოვნებლივ აგროვებენ, მაშინვე წნეხავენ და ფერმებთან ზვინავენ.

ნაწვერალზე თამაზ ვეშაგურის ტრაქტორი გუგუნებს. ახალგაზრდა ტრაქტორისტი ხნავს, ბელტს ბელტზე აწვენს, აფხვიერებს, მერე მასზე სასილოსედ სიმინდს თესავენ.

მოშუადღევდა, სადილობამაც მოაღწია. ყველა კალოსაკენ იჩქარის. ცხელი კერძებითა და ბოსტნეულით უმასპინძლდებიან ნაჯაფარ მემინდვრე-მექანიზატორებს.

ზემო ქედში ზაფხულობით ვერავის ნახავთ უქმად. ყველა ეშურება, თავიანთი თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არსენ კობაიძის სესიიდან დაბრუნება მკის დამთავრებით რომ აღნიშნონ; თქმა და შესრულება ერთია. მოსკოვში დეპეშით აცნობეს, რომ 3.200 ჰექტარზე მთლიანად აღებულია პურეულის მოსავალი და სახელმწიფოს ნაცვლად 2.883 ტონისა 3.600 ტონა მარცვალი მიჰყიდეს. ხუთწლიანი გეგმა შარშანვე შეასრულეს. წლეულს კი მეათე ხუთწლედის ანგარიშში ჩააბარეს პური.

სულ რამდენი პური ჩაბარდა ხუთწლედში? ათი ათასი ტონის ნაცვლად ოცი ათას ტონაზე მეტი! ჰექტარზე ნაცვლად 25 ცენტნერისა — 29 ცენტნერია მიღებული.

ეს ზემოქედელების წილია, მაგრამ წითელწყაროს რაიონში ხომ თერთმეტი მძლავრი კოლმეურნეობაა. მათ წლეულს 25.000 ჰექტარი პურეულის ყანა მომკეს. გამარჯვებაც, ზემომაჩხაანიც, ჯაფარიძეც გმირთავმჯდომარიანი კოლმეურნეობებია. თითოეულმა მათგანმა ორმაგად შეასრულა პურეულის დამზადების ხუთწლიანი გეგმა.

ვინ არიან გმირი თავმჯდომარეები?

ინებეთ: ვანო ფიროსმანაშვილი, ნიკო მამაიაშვილი, ნიკო ყოჩიაშვილი.

გმირობის კანდიდატები ვინღა არიან?

საგმირო თავმჯდომარეებს წითელწყაროში რა გამოლევს?! მაგრამ იქვე, შირაქში, ზემო ქედის გვერდით არის სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის მინდვრები. ეს კოლმეურნეობა სტალინის სახელობისაა. ხუთწლიანი გეგმა სახელგანთქმული ზემოქედელების მაგალითით დიდი გადამეტებით შეასრულეს. ბოდბისხეველთა წინამძღოლი გიორგი გელაშვილი თავმჯდომარეობის მესამე ხუთწლედს იწყებს. ბოდბისხეველებმა მეცხრე ხუთწლედში 25 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს. ვინ იცის, იქნებ გმირობამ ბოდბისხევშიც გადაინაცვლოსო, ასე ამბობენ შირაქელები.

ვნახოთ!

**ვახტანგ გოზალიშვილი**
წითელწყარო, შირაქი.

- კომბაინერს წყაროს წყალი მოუტანეს.
- სამხრობა მინდვრად.
- მკის შემდეგ.
- კომბაინერი ქოთილა ყველაიძე.
- კომბაინერი მიხეილ ლალიაშვილი.
- პურის ბარაქა.

ა. გოგოლაძის ფოტო













ეროვნული ბიბლიოთეკა

აგნია ბარტო ნორჩ მკითხველებთან.

თითქმის ათ დღეს გრძელდებოდა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაული. იგი დიდი აღმავლობით ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დღეების მონაწილე საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მწერლებმა მოიარეს დასავლეთ საქართველო. მწერლები შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელებს ქუთაისში, ბათუმში, მახარაძეში, ზუგდიდში, გალში, ცხაკაიაში, გეგეჭკორში, ჩხოროწყუში. ეწვივნენ მეჩაიეებს, გაეცნენ მათ საქმიანობას. იყვნენ რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სამშობლოში.

ყველგან, სადაც კი საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეები იყვნენ, მშრომელებთან შეხვედრების დროს იგრძნობოდა როგორ უყვარს ჩვენ ხალხს მწერლობა და როგორ აფასებს მას. მწერლები ხედავდნენ რა უშრეტია ის წყარო — ხალხის ცხოვრება, რომელსაც უნდა ეწაფებოდეს ყოველი ნამდვილი შემოქმედი.

მეგობრობის დღეები დასრულდა ჩვენს დედაქალაქში — თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ ინტერნაციონალური ლიტერატურული საღამოთი. მან ერთხელ კიდევ ცხადყო და დაადასტურა საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ცხოველმყოფლობა, რომელიც განმტკიცებულია ხალხის ცხოვრებასთან მხარდამხარ დგომით.

მიტინგი მაიაკოვსკში.



კ. სიმონოვი და აკად. ს. ყაუხჩიშვილი გელათში, საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეთა შორის.

კ. სიმონოვი და გ. აბაშიძე.



ო. ნოდია, ბ. ახმადულინა, ნ. დუმბაძე და ნ. კილასონია.



ბ. ვახტანგაძის და ა. ვახიანის ფოტო

# დიდოსტატის ხსოვნას



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 17 ივლისს გარდაიცვალა დიდი საბჭოთა მწერალი, აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია. ქართულმა კულტურამ, ჩვენმა საბჭოთა მწერლობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია წარმოუდგენელია კონსტანტინე გამსახურდიას სახელის გარეშე; მისი შესანიშნავი რომანები, მოთხრობები, გამოკვლევები, პუბლიცისტური წერილები სრული უფლებით შედის იმ ოქროს ფონდში, რომელსაც ქართული საბჭოთა კლასიკა ეწოდება.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მთავარი შინაარსი — ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო იყო. მწერალი მთელი გატაცებით უმღეროდა ჩვენს დროს, სოციალიზმის გამარჯვების ეპოქას; ამიტომაც წერდა იგი: „არაფერი ისე არ ახარებს თვალსა და გულს, როგორც ეგა: ახლის შექმნის მეთვალყურე იყვე და ახლის შემქმნელს შეაწიო ხმა".

ჩვენი მარად დაუვიწყარი კონსტანტინე არა მარტო ხმას შეაწევდა, არამედ თავისი ბრწყინვალე რომანით — „მთვარის მოტაცებით" მხარში ედგა პირველ კოლმეურნეებს, ძველ ქართულ მიწაზე ახალ, თავისუფალ შრომას რომ ამკვიდრებდნენ; თავისი „ვაზის ყვავილობით" მწერალი თან ახლდა სამამულო ომის ფრონტზე წასულ ქართველ ჯარისკაცს, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად რომ იბრძოდა სამშობლოს და კაცობრიობის გადასარჩენად. კონსტანტინე მთელი გატაცებით და გზნებით წერდა ახალ რუსთავზე, კოლხეთის ჭაობების ამოშრობაზე, ახალ სამგორზე, ხალხთა ძმობაზე; იგი ყველგან, ყველა უბანზე მიესალმებოდა ახლის შემოქმედს, მუდამ წინ ეძახოდა, ლოცავდა ოსტატის მარჯვენას და მის დიდ მადლს ამ ქვეყნის ყველაზე მაღალ სათნოებად მიიჩნევდა. მან ამ ახლის სადიდებლად გააცოცხლა წარსულიც და გარდასულ დროთა დიდოსტატებიც და რაინდებიც იმიტომ წარმოაჩინა ესოდენ ბრწყინვალედ და დიდებულად, რომ საქართველოს ახალ ისტორიას, მის დღევანდელ დღეს უფრო მკვიდრი, უფრო ურყევი ფუძე, უფრო დიდი ელვარება და ტრადიცია ჰქონოდა. ამის თაობაზე თვითონ მწერალი შენიშნავდა: „ყველაფერი, რაც შემიქმნია ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის სადიდებლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფდაფედ და მეაბჯრედ მომაქვს კიდევაც თავი".

ამით აიხსნებოდა მწერლის ესოდენ ულრმესი ინტერესი საქართველოს დიდი წარსულისადმი. აი, თქვენ გადაშალეთ მისი „დიდოსტატის მარჯვენა". პირველივე სტრიქონებიდან ჩაგკიდებს ხელს მწერალი და წაგიყვანს ისტორიის შორეულ გზებზე. თითქოს სასწაული მოხდაო, ისე ცოცხლდებიან საუკუნეები შენს თვალწინ, ენას ამოიდგამენ და ლაპარაკს იწყებენ ათასი წლის წასულ ადამიანთა აჩრდილები... არა, აჩრდილები კი არა, ნამდვილად ცოცხალი ადამიანები. და გეჩვენება, რომ ოცნებასა და ფანტაზიაში კი არა, მწერალი ნამდვილად თან წაჰყოლია სანადიროდ თრიალეთის მთებში სვეგამწარებულ გიორგი პირველს, წაჰყოლია გლახუნასა და პიპასთან ერთად, რათა შესწრებოდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს და მისი გულისმომკვლელი სამდურავი და ანდერძი გადაეცა მომავალ თაობათათვის. იმდენად ძლიერია აქ სიტყვის ძალა, იმდენად მართალია აქ მწერლის თვალი და განჭვრეტა, რომ, იქმნება ილუზია, თითქოს კონსტანტინე ყოველივე ამას თვითონ შესწრებოდეს. კითხულობ წიგნს და გჯერა, რომ მას თავისი სეხნია — თვითონ კონსტანტინე არსაკიძეც უნახავს და იცნობდა შორენასაც, იცნობდა ფარსმან სპარსსაც და არაერთგზის შებრძოლებია მას ტრიბუნაზეც.

აბა, შესძელი და გადმოეცი ეს ერთი-მეორეზე აზავთებული ფიქრები, შთაბეჭდილებანი, წარმოსახვანი, სურათები ეპოქებისა, ქვეყნებისა, ადამიანებისა, ჭოძლვრებებისა, მთელ ხალხებს რომ აღძრავდნენ და ქვეყნიერებას აზანზარებდნენ... მათს გაცოცხლებას, ვიზიონურ ხილვას და დახატვას მართლაც დიდი და უბადლო მესიტყვის, მწერლისა და მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის ფანტაზია სჭირდებოდა.

შორია და თვალგადაუწვდენელი გზები, რომლითაც დაჰყავხარ მწერალს მისი წიგნების კითხვის დროს. თითონ კი მუდამ შინ არის — ყველა საუკუნეში, ყველა ქვეყანაში, კოლმეურნის ოჯახშიც და გეგუთის ან ნაჭარმაგევის სასახლეშიც, დავით აღმაშენებლის გვერდით...

კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს" ჩვენს ლიტერატურაში დიდად საპატიო და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქმე აქ მარტო მის მხატვრულ ძალასა და გარდასულის მისნურ ჩაწვდომაში როდია. ამ ვრცელ ეპოპეაში ისტორია მკვდარი კი არ არის, ლანდების სავანე კი არ არის, არამედ გაუთავებელი სიცოცხლე და წარმოქმნაა. ვის არ უწერია საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ ასე ძლიერად არავის განუცდია იგი. უმეტეს შემთხვევებში ჩვენ გადაგვიყვანდნენ ხოლმე ბურუსიან შორეთში, გადაგვიყვანდნენ აჩრდილთა სამყაროში, სადაც ყველაფერი მკვდარი იყო, ნაცარწაყრილი, უცხო და უჩვეულო, შეიძლებოდა გვეგრძნოთ რაღაც მოწიწება, მაგრამ არ იყო ის განცდა, რომ თქვენ შინ, თქვენს სახლში იმყოფებით. „დიდოსტატსა" და „დავით აღმაშენებელში" კი ჩანს ჩვენი ცოცხალი სამშობლო, მიწა, ხალხი, მისი შრომა და ბრძოლა. და ეს ხდება იმიტომ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს გასაოცარი უნარი ერთბაშად დაჰფაროს მანძილი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, მეთორმეტე და მეოცე საუკუნეებს შორის, ის იდუმალი სასიცოცხლო ძაფი გვიჩვენოს, საუკუნეებსა და ათასწლეულების გასწვრივ, ხალხის ისტორიის მთელ სიგრძეზე რომ არის გაბმული. აი ამის გადმოცემა, სიცოცხლის ეს მარადიული შუქი რომ დაიწყებს კრთომასა და ელვას — ეს აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს იმ დიდ სიცოცხლეს, რომელიც მას ესოდენ თვალსაჩინო ადგილს მიუჩენს მთელი ხალხის სულიერი ცხოვრების ვითარებასა და წინსვლაში.

„დავით აღმაშენებლის" წერას ავტორმა ოცდახუთი წელი მოანდომა; ადვილი როდი იყო თავმოყრა და მხატვრული გარდასახვა უზარმაზარი მასალისა, რათა მკითხველის თვალწინ სრულყოფილად წარმომდგარიყო დავითის ეპოქა, არა მარტო მთავარი გმირი ეპოპეისა, არამედ მისი თანამებრძოლნი, და პირველ რიგში — ხალხი, ნამდვილი შემოქმედი ისტორიისა. ავტორმა შექმნა მთელი გალერეა უბრალო ადამიანების სახეებისა — ესენია გუთნისდედის გაბრიელ ხორგაის შვილები, ასისთავი ლათერია, უბრალო მშრომელი ქალი თეონა, რუსი მჭედელი ნიკალა და სხვები. რომანის ფურცლებზე დავითის მხარდამხარ დგანან ხუროთმოძღვრები, ხელოსნები, გლეხები, მეომრები — ყველა ისინი, ვინც სელჯუკთა მძიმე უღლიდან ათავისუფლებდნენ ქვეყანას და, იმავე დროს, აშენებდნენ მას, მაღლა აჰყავდათ მისი კედლები.

„დავით აღმაშენებელი" ფართო ეპიკური ტილოა, რომელზედაც ჩანს მთელი ძველი საქართველო. უძნელეს საქმეს შეეჭიდა მწერალი — ეჩვენებინა სული, შრომა და ბრძოლა დიდი სახელმწიფო კაცისა მისივე ხალხის ცხოვრების ვითარების გადმოცემასთან ერთად; კონსტანტინე გამსახურდიამ წარმატებით გაართვა თავი ამ ძნელ საქმეს და შექმნა მონუმენტური ნაწარმოები, რომლითაც ქართული მწერლობა მუდამ იამაყებს.

ქართველი ხალხი მუდამ იამაყებს კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავი წიგნებით; ეს წიგნები მუდამ აღაფრთოვანებენ ახლანდელ და მომავალ თაობებს, განუმტკიცებენ მას სამშობლოსადმი ულრმეს სიყვარულს, ჰუმანიზმის კეთილშობილურ გრძნობებს.

დიდოსტატის კონსტანტინეს სახელი მარად ცოცხალი იქნება თაობათა ხსოვნაში.

გიორგი ნატროშვილი

# მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი...



მესტია.

თ. არჩვაძის ფოტო

„არიან კაცნი დიდტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი... მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი", — ასე შეამკო ვახუშტი ბატონიშვილმა სვანები.

სვანეთი — საქართველოს უძველესი კულტურის მხარეა, რაზედაც მეტყველებს ნატიფად ნაშენი ასი ეკლესია და სამასამდე კოშკი, მანუსკრიპტები და ხატები, დიდძალი ოქროს ქანდაკება, ხელნაწერთა უნიკალური კოლექციები და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სხვა იშვიათი ექსპონატები.

ხშირად ედგა ძნელბედობის ჟამი სვანეთს, მაგრამ ვაჟკაცურად აუტანია, დაუცავს, შეუნახავს თავი. სიავისათვის ქედი არასდროს მოუხრია. სიძველის ყველა ნივთს, რომელიც მუზეუმთან ერთად კოშკებსა და ეკლესიებს აბარია, გულმოდგინედ უვლიან და ხალისით დაგათვალიერებინებენ, მაგრამ არ გაპატიებენ მზაკვრულად ხელის შეხებას.

სვანეთი განძთსაცავია, ამავე დროს შემქმნელიცაა. ალტაცებაში მოვყავართ სვან ოქრომჭედელთა, ხეზე მკვეთელთა, მოჩუქურთმეთა, მშენებელთა დიდებულ ხელოვნებას; მაგალითად, სოფელ აცის მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესიის მუხის გულის მოჩუქურთმებული კარი, ხის ფარი, რომელსაც ზევიდან გადაკრული აქვს ტყავი, შიგნით — ბალისკანი, მოჭედილია რკინით. სეტის (მესტია) წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცულია ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუში — მეათე საუკუნის წმინდა გიორგის ხატი საომარი საჭურველითა და ტანსაცმლით.

მტკიცე და ზოგჯერ კუშტი სვანი მუდამ თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა. სვანებს უყვართ ხალხის მასობრივი გმირობის ამსახველი ფუთა დაჩქელანის ამბავის გახსენება, რომელიც ქვის სავარძელზე დახვეს ლამარიას ეკლესიის გალავანთან, სათოფურში ლულაგაყოფილი თოფის ჩახმახს თოკი გამოაბეს და ყველამ ერთად მოზიდა, მტარვალი სიცოცხლეს გამოასალმეს.

სვანეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიმართა წელში. არავის უხდება მარილზე წასვლა და ოჯახის მიტოვება გროშების საშოვნელად, ახლა იქ არც შუღლია და არც ძმათა სისხლისღვრა.

მინდვრები თითქოს მხატვრის ფუნჯით მოუხატავთ ფერად-ფერად უჯრედებად. სვანები თესავენ ქერს, ჭვავს, სიმინდს, კარტოფილს, ბოსტნეულს, და კარგი მოსავალიც მოჰყავთ. სათიბებში მთის ნოყიერი ბალახის სუნი ტრიალებს, ფერდობებს ნახირი შეფენია. აქაურ ხორცს, რძეს, მაწონს, კარაქს, ყველს ბადალს ვერ უნახავთ.

უშგული ყველაზე ტიპიური სვანური სოფელია. იგი ზღვის დონიდან 2.200 მეტრზე მდებარეობს შხარას მარადიული ყინულეთის ძირას, ბობოქარი ენგურის სათავესთან. ასეთი მაღალმთიანი სოფელი ევროპაში არ არსებობს. ტყუილად როდი ხუმრობენ უშგულელები, აქედან მთელ სამყაროს გადავყურებთო. უშგულმა გულდაგულ აშენა ახალი ცხოვრება, რაც პოეზიაშიც აისახა. ამ შენებას სიმონ ჩიქოვანმა შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები „უშგულის კომკავშირი" მიუძღვნა.

უშგულში წინათ ანბანი ორიოდე კაცმა თუ იცოდა. არ იყო სკოლა. ახლა ასათკომლიან სოფელში არის საშუალო სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, ფოსტა, მეცხოველეობის პროფილის საბჭოთა მეურნეობა, სადაც სამოცზე მეტი უმაღლესი განათლების ადგილობრივი სპეციალისტი მოღვაწეობს.



მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. სარალიძე (მარცხნივ) ესაუბრება მშენებლებს.



მახვში დიმიტრი მარგიანი, სოფ. ლანჩვალი.



მესტიელი ბიჭები.

უშგულელი ონისიმე ნიჟარაძის ოთხივე შვილმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და მშობლიური სოფლის წინსვლას ემსახურებიან. პავლე ღვაჩლიანი · მეცნიერებათა კანდიდატია, ანზორ ჩარქსელიანი — პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი, კარლო ჭელიძე უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელია...

ადამიანებზე მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებაა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ. იგი რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის აღმავლობის ვრცელი პროგრამაც არის უახლესი ხუთი წლისათვის.

პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბორის სარალიძე გულდასმით გვაცნობს ამ გეგმის ძირითად მონახაზს, მოგვითხრობს რაიონის ხვალინდელ დღეზე. ცხადია, საუბარი სოფლის მეურნეობის პრობლემებით დაიწყო:

— ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები, რომლებსაც დამოუკიდებლად არ შესწევდათ უნარი მეურნეობა სამრეწველო საფუძველზე გადაეყვანათ, გარდაიქმნენ მეცხოველეობის მიმართულების საბჭოთა მეურნეობებად. მათი განმტკიცებისათვის დიდი თანხებია გამოყოფილი.

მულახში, მესტიასა და ბეჩოში შენდება სარძეო-სახაქონლო კომპლექსები, ეცერში — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი კომპლექსი, სადაც ხელის შრომას მანქანები შეცვლიან, ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება ხორცისა და რძის წარმოება.

სვანეთში საუკეთესო ალპური სათიბ-საძოვრებია. დღის წესრიგშია მათი კულტურულად მოწყობა. მიმდინარეობს შემოღობვა, წმენდენ ბუჩქნარისაგან, გაჰყავთ სარწყავი წყალი, მაღალ მთებში კი იგება საავტომობილო გზები, რომელთა სიგრძე ას კილომეტრს მიაღწევს. უფრო მიუდგომელ ადგილებში საჰაერო-საბაგირო გზები დააპროექტეს. მომავალ წელს ასეთი გზები იქნება უზგვირისა და უთვირის სათიბებამდე. ჭუბერში გათვალისწინებულია საკვების დამამზადებელი საწარმოს მშენებლობა, სადაც მცენარეული ანარჩენისაგან ყოველწლიურად მიიღებენ ათასობით ტონა ვიტამინიან საკვებს, რომელიც ყუათიანობით სოიის ტოლფასოვანია.

სვანეთის ხილი გემოთი და არომატით უბადლოა. მეურნეობები ითვალისწინებენ ასი ჰექტარი ხეხილის ბაღის გაშენებას. იაფი და ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად ცხუმარში შეიქმნა სანერგე განყოფილება. გაფართოვდა კარტოფილის, ბოსტნეულის, ლობიოს თესვა. მათ შესანახად აშენდება მაცივარი და ბოსტნეულსაცავი.

ვათვალიერებთ დაბა მესტიის ახალმშენებლობებს. ეს-ეს არის ხარაჩოები შემოეხსნა ტურისტულ ბაზას „უშბას". შენობა სამსართულიანია და ერთდროულად ორას ტურისტს მოემსახურება. დაიწყო შიხრის ტურბაზის რეკონსტრუქცია, მას ასი ადგილი დაემატება. უშგულსა და ნაკრაში გათვალისწინებულია ტურისტულ ბაზათა მშენებლობა.

მესტია ერთდროულად ათასამდე ტურისტს მიიღებს.

სვანეთში შრომის, შენების, განახლების ნამდვილი ზეიმია. შენდება სასტუმრო „სვანეთი", კინოთეატრი „თეთნულდი", რესტორანი „შხარა", ასორმოცდაათსაწოლიანი თანამედროვე საავადმყოფო განათლებისა და ჯანმრთელობის კერები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, გაჰყავთ წყალსადენები; ლენჯერისა და მულახის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები პირველ სექტემბერს ახალ ორსართულიან სასკოლო შენობებში მიუსხდებიან მერხებს.

გათვალისწინებულია კულტურის, კავშირგაბმულობის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სვანურად სტილიზებულ სახახლეთა მშენებლობა.

შენდება მესტია, ახალი ქალაქი მთებში.

ახდა სვანების ოცნება — ენგურჰესიდან შემოვიდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, ზურულდის მთაზე აიგო ტელეხედვის სარეტრანსლაციო სადგური. მალე ტელეანძები ამიმართება სვანური მურყვამებისა და მაჩუბების თავზე, სვანთა ოჯახებში იციმციმებს ცისფერი ეკრანი.

სვანეთის სასიცოცხლო არტერია მაინც მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზა არის. თხუთმეტი წელია შენდება იგი. მარშანდლიდან ამ საქმეში მკვეთრი გარდატეხა მოხდა. გზის მშენებლები პირობას იძლევიან დათქმულ დროში — 1977 წლისათვის დაამთავრონ გზის გაყვანა. შემდეგ მესტია-უშგულის საავტომობილო გზის გაფართოების სამუშაოებს შეუდგებიან.

გათვალისწინებულია სამთო-სათხილამურო ბაზის, ალპინისტური ბანაკის მშენებლობა. ახალმშენებლობებს ინსტიტუტ „საქქალაქპროექტის" შემოქმედებით სახელოსნოში სპეციალურად აპროექტებენ. არქიტექტორთა პროექტებში უცვლელად არის დაცული მშენებლობის ძველსვანური სტილი. გამოყენებულია ადგილობრივი გრანიტი და სხვა სამშენებლო მასალა. ნაგებობები შეხამებულია სვანეთის თვალწარმტაც პეიზაჟთან.

სამშენებლო სამუშაოთა უკეთ წარმართვისათვის ახლახან შეიქმნა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მესტიის მოძრავი მექანიზირებული რაზმი, ჩამოყალიბდა ავტოსატრანსპორტო საწარმო.

მშრომელები თვალნათლივ ხედავენ და გრძნობენ, თუ რა მზრუნველობით არის გარემოსილი საქართველოს მთა, რასაც ისინი თავდადებული შრომით პასუხობენ. ყოველდღიურად ახლა იმაზე ორჯერ მეტი კაცი შრომობს სახალხო მეურნეობაში, ვიდრე სამიოდე წლის წინათ.

ერთმანეთს გაჯიბრებიან რობერტ უშხვანის, მურად ავალიანის, სალარეფ ქორქოლიანის გზის გამყვანთა ბრიგადები. ისინი მიუვალ ადგილებში სწრაფად ანგრევენ კლდეებს, უფსკრულებში ოსტატურად აწყობენ ხიდების ბურჯებს. ის, ვინც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, მას სიძნელეებიც არ აშინებს. მექანიზატორ ვაჟა დევდარიანს კოლოსეული შრომით მეტოქეობას ვერავინ უწევს — იგი მუდამ პირველია.

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე შრომობდნენ ნაკრელი კომკავშირელები ვალერი ვიბლიანი, მირიან გვარმიანი, ოთარ ცინდელიანი; გამრჯე ბიჭები დღეში ხშირად სამ ნორმას ასრულებდნენ. როცა საჭიროა, აქ ადამიანები ხელდახელ იცვლიან პროფესიას. ყურუმ უშხვანი, შურა ხარძიანი, კირილე ხაფთანი, ბენო კვიციანი, ხვიჩა უშხვანი ზამთრობით ფერმაში შრომობენ, ზაფხულში — სათიბებში ატრიალებენ ცელს. მათ მშენებლობებზეც იშვიათად როდი ნახავთ. სრულყოფილად ფლობენ ხუროს, მებათქაშის, კალატოზის პროფესიებს და წარმატებებსაც აღწევენ.

ცხუმარელი ბრიგადირი ციბა გერლიანი, უშგულელი მწველავი დამი ჩარკვიანი, ხაიშელი მემინდვრე მინარდი ვიბლიანი, ბეჩოელი მწყემსი ბიმურზა არღვლიანი... აი, ზოგი მათგანი, ვინც ქმნის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ხვავსა და ბარაქას. სვანეთში ინტელიგენციის სახელმოხვეჭილი არმიაც ჰყავთ; მათ შორის ექიმი ლუბა ნიჟარაძე რესპუბლიკის პარლამენტის წევრია.

* * *

თვითმფრინავები სერავენ სვანეთის კამკამა ზეცას; დაფრინავენ კოშკების თავზე, ჰაერს მოაპობენ ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, სოხუმიდან; მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მგზავრობა ძალზე იოლი იქნება. რომანტიკის მოყვარულნი: ტურისტები, სპორტსმენები, მეცნიერები, სპეციალისტები უფრო ხშირად ესტუმრებიან საქართველოს ამ საოცარ კუთხეს, გულკეთილი სვანები ჩვეული სტუმართმოყვარეობით დაუხვდებიან მათ. ისინი ერთად იხილავენ თუ როგორ შლის ცისკარი უშბაზე ალამს.

**დავით გიჩაძე**

მესტია.



ქალის გზაზე.



საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ნიჟარაძე (მარჯვნივ) მესტიის საავადმყოფოს წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოპერის თეატრი ხარაჩოებში

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობას მაღალი მესერი შემოავლეს. დიახ, ორი წელი გავიდა! მაგრამ თბილისელები მაინც ვერ შეეგუენ ამ ხის მესერს, ვერ შეეგუენ, რომ მუდამ ხალისიანი რუსთაველის პროსპექტის ამ ყველაზე ხალხმრავალმა, ყოველ საღამოს გაჩირაღდნებულმა, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხით სავსე შენობამ თითქოს სუდარა გადაიფარა და მესერს მიღმა მიიმალა. და განა გასაკვირია ეს?

თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრი ჩვენი დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრების ცენტრად იქცა. ამ ხნის მანძილზე მის ჭერქვეშ ძალზე ბევრი სასიამოვნო წუთი განუცდიათ თბილისელებს.

შარშან აქ მოვიდნენ მშენებლები, აგუგუნდნენ მექანიზმები, შენობას ფხიზელ დარაჯებივით თავს დაადგნენ კოშკურა ამწეები, ცეცხლით ალოკილ კედლებს ხარაჩოები შემოავლეს და გახარებული თბილისელების თვალწინ შენობამ ზღაპრული გოლიათივით საათობით იწყო ზრდა და ფერისცვალება — მაღლა აიწია, თითქოს ადრინდელზე უფრო ფართოდ გაშალა მხრები.

რა გაკეთდა? როდის დამთავრდება? როგორი იქნება? — აი ის კითხვები, რომლებიც დღეს ყველას აინტერესებს.

მშენებლებზე უკეთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვერავინ შეძლებს და ჩვენც რამდენიმე კითხვით მივმართეთ მშენებლობის სამინისტროს № 13 საერთო-სამშენებლო ტრესტის მეხუთე სამმართველოს უფროსს გიორგი რამიშვილს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს მშენებლობას.

**— ოპერის თეატრის მშენებლობას, ცხადია, ყველას არ ანდობენ. რამ განაპირობა, რომ ასეთი დავალება თქვენი ტრესტის მშენებელთა კოლექტივს მიენდო და როგორ შეხვდნენ ამას მშენებლები?**

— დავიწყებ იქიდან, რომ ამ დავალებამ ჩვენი ტრესტის, და კერძოდ, მეხუთე სამმართველოს მშენებელთა კოლექტივი კიდევაც გაახარა და თანაც შეაფიქრიანა. სასიხარულო, მართლაც გვქონდა. განა რომელი მშენებელი არ ოცნებობს გამორჩეული, მონუმენტური შენობის აგებაზე?! ოპერის თეატრის შენობას კი ასეთ ნაგებობათა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მაგრამ დასაფიქრებელიც ბევრი რამ იყო: ხომ არ შევრცხვებით? ხომ არ გავუცრუებთ იმედს თბილისელებს? შევძლებთ ასეთი რთული, შრომატევადი ნაგებობის დამთავრებას მთავრობის მიერ დასახულ მეტად მოკლე ვადებში?

შიში იოლად დავძლიეთ, რაშიც საკუთარი ძალების რწმენაც დაგვეხმარა. ჩვენი ტრესტის კოლექტივს მონუმენტური მშენებლობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ცხადია, ეს გამოცდილება გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ, როცა ოპერის მშენებლობა ჩვენ გვანდეს.

**— ნაგებობა, შეიძლება ითქვას, თვალდათვალ იზრდება. გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ. რა გაკეთდა მშენებლობის დაწყების დღიდან, რა სიძნელეები შეგხვდათ?**

— მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე მრავალი სიძნელე გადაგვეღობა. ცნობილია, რომ ცარიელ ადგილზე ახალი შენობის აგება უფრო ადვილია, ვიდრე ძველის აღდგენა-გადაკეთება, თანაც, როცა ეს გადაკეთება დაკავშირებულია ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებთან. აქ უნდა ეცადო, რაც შეიძლება სრულად გამოიყენო შენობის ძველი, ჯერ კიდევ ვარგისი დეტალები და, ამავე დროს, ორგანულად შეუხამო მას ახლად ნაგები კონსტრუქციები, ისიც უნდა ითქვას, რომ შენობის დარჩენილი ნაწილები აფერხებდა მექანიზმთა გამოყენებას. სწორედ ამიტომ საძირკვლის ჩაყრისას ბევრი შრომატევადი სამუშაო მთლიანად ხელით შესრულდა.

დღეს შენობის დიდი ნაწილი ახალ საძირკველზე დგას. ამისათვის ჩავყარეთ ათიოდე მეტრის სიღრმის ორასამდე რკინა-ბეტონის ხიმინჯი, რომლებიც მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭით შეიკრა და მასზე აღიმართა შენობის ახლად ნაგები ნაწილი. რამდენად დიდია ეს ნაწილი, ამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ ძველის ნაგებობიდან დარჩა მხოლოდ ფასადი, ვესტიბიულის ნაწილი და უკანა კედელი. მაყურებელთა დარბაზი და სცენის ნაწილი დამხმარე სათავსოებით თითქმის ახლად აშენდა. დღეისათვის უკვე დამთავრდა მაყურებელთა დარბაზისა და სცენის გადახურვა, ამით, შეიძლება ითქვას, ძირითადად დასრულდა წმინდა სამშენებლო ხასიათის სამუშაოები.

**— რამდენადაც ვიცით, ასეთი მოცულობისა და სირთულის ნაგებობა ასე სწრაფი ტემპით თბილისში ჯერ არ აშენებულა. როგორ მიაღწიეთ ამას? ალბათ, მუშაობის ახლებური მეთოდების გამოყენებამ მოგცათ ამის საშუალება?**

— ცოტა უხერხულია თავის ქება, მაგრამ თქვენი შეკითხვის პირველ ნაწილზე უნდა გიპასუხოთ, რომ თბილისში ასე სწრაფად, მართლაც, არც ერთი შენობა არ აგებულა. მინდა ერთი რამ შეგახსენოთ. ოპერის მშენებლობას „მწვანე ხაზი“ აქვს გახსნილი. პარტია და მთავრობა არაფერს არ გვაკლებენ, ოღონდ ჩვენ დავალების დროზე შესრულება შევძლოთ.

მუშაობაში ხელი რომ არ შეგვშლოდა, სამმართველოს ჩამოაშორეს სხვა ობიექტები და ძირითადად ოპერის შენობა დაუტოვეს. ყოველდღიურ საქმიან დახმარებას გვიწევენ ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელი გურამ გოგიჩაძე და მთავარი ინჟინერი ოთარ ბოკერია. ტრესტის ყველა სამსახურთან დამყარებული გვაქვს სადისპეტჩერო კავშირი, რაც საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად გადავწყვიტოთ მშენებლობაზე წამოჭრილი საკითხები.

სამუშაოთა დაჩქარებას ხელი შეუწყო შრომის ორგანიზაციაში ზოგიერთი სიახლის დანერგვამ. პირველი დღიდანვე შენობა სამად გავყავით: გადარჩენილი ნაწილი, მაყურებელთა დარბაზი და სცენის ნაწილი. ყოველ მათგანს სათავეში ჩავუყენეთ სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკი. ამან გაზარდა პასუხისმგებლობა და უფრო მოქნილი გახადა ხელმძღვანელობა. რაც მთავარია, შენობის თითოეული ნაწილისათვის შევადგინეთ სამუშაოთა წარმოების დღიური გრაფიკები. ამ გრაფიკებში გათვალისწინებულია ყოველი სახის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადები დღეების, ზოგ შემთხვევაში საათების მიხედვითაც კი; აღნიშნულია მუშათა რაოდენობა, პასუხისმგებელი შესრულებისათვის. გრაფიკებმა შესაძლებლობა მოგვცეს შეუნელებელი კონტროლი დაგვეწესებინა სამუშაოთა მიმდინარეობაზე და დროზე მიგვეღო ზომები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ასეთი სახის გრაფიკები საქართველოში პირველად ოპერის მშენებლობაზე დაინერგა.

**— ასეთი ხასიათის ნაგებობის მშენებლობისას ძალზე დიდი დრო და შრომა სჭირდება შენობის გაფორმებას, დეკორაციულ სამუშაოებს, რა კეთდება ამ მხრივ?**

— შენობის შიდა გაფორმება, ფასადისა და გვერდითი კედლების არქიტექტურული დეტალების დამზადება და ადგილზე დაყენება, მართლაც, დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ კარგა ხანია ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს. დღეისათვის ბევრი რამ გაკეთდა: თითქმის დამთავრდა ვესტიბიულის იატაკის დაგება. იატაკი კეთდება ურალის თეთრი და შროშის წითელი მარმარილოთი, სპეციალურად შედგენილი ნახაზის მიხედვით. ვესტიბიულის ნაწილში ასევე დასასრულს უახლოვდება ძერწვითი სამუშაოები. ქვისმთლელებმა უკვე დაამზადეს თეთრი ქვის ფრიზები და სხვა არქიტექტურული დეტალები შენობის ფასადის დაზიანებულ ნაწილთა შესაცვლელად. მივიღეთ და ნაწილობრივ თავის ადგილზე დავაყენეთ მუხის ფიგურული ფანჯრის ჩარჩოები. მალე დაიწყება ვესტიბიულის კედლების მოხატვა. მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც კიდევ გვაქვს გასაკეთებელი.

**— თბილისელთა თვალს არ გამოპარვია, რომ შენობის უკანა მხარე თითქოს გაფართოვდა და ამაღლდა. ხომ ვერ გვეტყვით საერთოდ რა ცვლილებები განიცადა შენობამ. ყველა მოელის, რომ ოპერის განახლებული თეატრი ძველს უნდა სჯობდეს, ალბათ ასეც იქნება?**

— უნდა გამოგიტყდეთ, მშენებლებს ყველაზე მეტად ის აღელვებთ, თუ რას იტყვის მათ ნახელავზე განახლებული თეატრის პირველი მაყურე-

**(დასასრული მე-19 გვ.)**




ეროვნული ბიბლიოთეკა



- მშენებლობის საერთო ხედი.
- დურგალი ლავრენტი დოდაშვილი.
- დურგალი გივი ივანიშვილი და ბრიგადირი რევაზ არეშიძე.
- მონტაჟდება სცენის სახურავი.
- მარცხნიდან — საგეგმო განყოფილების უფროსი ნიკოლოზ მინდოდაური, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გივი მახარაძე, მეცამეტე ტრესტის მთავარი ინჟინერი ოთარ ბოჭორია და მეხუთე სამმართველოს უფროსი გივი რამიშვილი.





# ტენგიზ სამსონაძე



ყაზბეგი.



ქართლის პეიზაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუშეთი.



სვანეთი.



ძველი თბილისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ედ. გიგილაშვილის ფოტო

სცენები

სპექტაკლიდან

„ახალგაზრდა

გვარდიის"

სახელით





# გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ვასილ კიკნაძე

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ თეატრალურ ინსტიტუტში — ახლახან მტერზე გამარჯვების ოცდაათი წლისთავი რომ იზეიმეს.

... დარბაზი სავსეა ჭაბუკებით და ქალიშვილებით, სტუმრებით — ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ომის ვეტერანებით. ამ ახალგაზრდებს არ უნახავთ ომი. ეს არის ახალი თაობა ომის ჭრილობებისაგან თავისუფალი, ბედნიერი თაობა; ახლა ისინი ომის ვეტერანებთან ერთად ზეიმობენ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, მათთან ერთად დგებიან ფეხზე, რათა დუმილით პატივი სცენ შინმოუსვლელთა ხსოვნას, მერე უჩუმრად უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს და მღელვარებით ელიან სპექტაკლის დაწყებას, სპექტაკლისა, რომელიც ომგადახდილებსა და ომში დაღუპულ ახალგაზრდებს მიეძღვნა; ეს არის მ. გეგიას კომპოზიცია „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ (ა. ფადეევის რომანის მიხედვით).

წარმოდგენაში სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები მონაწილეობენ. სტუდენტებისათვის არცთუ ისე ადვილია ომის მონაწილეთა წინაშე თამაში. თამაში კი არა, დიდი სიმართლე, დიდი უშუალობა, გულწრფელობა და გულახდილობაა საჭირო იმის სათქმელად, თუ ვინ იყვნენ „ახალგაზრდა გვარდიელები“, ვინ არიან მათი მემკვიდრენი და როგორები იქნებიან ისინი ანალოგიურ პირობებში თუ მოხვდებიან.

აი, ფარდის წინ წარმოითქმება პირველი სიტყვა: „მე მურმან ჯინორია, ვფიცავ!, მე, ზაზა მიქაშავიძე, ვფიცავ! მე, ქეთო დოლიძე, მე პაატა ბარათაშვილი, მე, მანანა სურმავა“ და ასე გრძელდება. ვიდრე სცენის წყვდიადში ჩურჩულით წარმოთქმული პირველი მართალი სიტყვა თანდათან არ გაიზრდება. შემდეგ „ალსდექ, მშიერო წამებულო“ წამოიწყებს ერთი, მეორე, მესამე და სიმღერა და სიტყვა რაღაც უჩვეულო ქორალად ერთდება.

ახალგაზრდობა მღერის „ინტერნაციონალს“, ახალგაზრდობა განსაცდელის ჟამს ფიცს სდებს, ისე, როგორც მათი ორეულები სდებდნენ ფიცს სამშობლოს წინაშე.

მთელს დარბაზში უჩინარ ტალღებად გავრცელდა სითბო და სინათლე, ომგადახდილთა გულებს მალამოდ დაედო პირველი სიტყვა, შეერთდა სცენა და დარბაზი — ომის ვეტერანი და სტუდენტი, სიჭარმაგე და სიჭაბუკე. მოქმედებას მართალი სიტყვა მოჰყვა და სცენაზე ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, როდესაც ყველაზე ძნელად წარმოსათქმელი ფრაზაც კი საოცარი ბუნებრივობით აჟღერდებახოლმე. გადაილახა ბარიერი და ყველანი ეზიარნენ „გვარდიელთა“ ამაღლებულ, გმირულ სულს.

მაყურებელმა ნაღვლიანად დატოვა დარბაზი და თავი მოიყარა ინსტიტუტის ფოიეში — ომში დაღუპულ სტუდენტთა და თანამშრომელთა მემორიალის წინ. წარმოითქვა სიტყვები, ყვავილებით შეამკეს წმინდა ადგილი. მერე აუდიტორიის კარები გაიღო და ბლინდაჟი გამოჩნდა. მაყურებელი ბლინდაჟისაკენ დაიძრა. ორიგინალურად მოწყობილი ეს სანახაობა აძლიერებს წარმოდგენით მიღებულ შთაბეჭდილებას. აქ ყველაფერი სუნთქავს ომის დროის ატმოსფეროთი — ბლინდაჟში „კატილოკები“, შავი პური, კარტოფილი და ცოტა არაყია. ორკესტრი ომისდროინდელ სიმღერებს უკრავს, სტუდენტები ომზე დაწერილ ლექსებს კითხულობენ, ისმის ომში დაღუპულ პოეტთა ლექსები...

... ინსტიტუტის დარბაზი მრავალჯერ გაივსო „ახალგაზრდა გვარდიელთა“ მაყურებლით, სპექტაკლისადმი ინტერესი გასცილდა ინსტიტუტის კედლებს. იგი ნახეს მწერლებმა და მუშებმა, სტუდენტებმა და პედაგოგებმა, ინჟინრებმა და ექიმებმა, მრავალი პროფესიისა და გემოვნების ადამიანმა. წარმოდგენას განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა დაესწრო. მათთვის ახლობელი და გასაგებია ის პირობითობა, რომელიც ასე გაბედულად არის წარმოჩენილი სპექტაკლის გადაწყვეტაში. ეს არის დრამატული მონოლოგი, ერთიანი, ძლიერი და ტევადი მეტაფორული სახე, რომელშიც დიდი აზრი და ვნებაა მოქცეული. თითქოს მაღალი ძაბვის ელექტროობაა იმ რკინის კონსტრუქციაშიც (მხატვარი თ. გომელაური), სცენაზე რომ დგას. სცენაზე ყველაფერი გამთბარია ახალგაზრდების წრფელი განცდებით, უშუალობით, ყველაფერი სავსეა დიდი აზრითა და ემოციით. აქ არაფერი არ არის ზედმეტი. უმცირესი დეტალიც კი მნიშვნელოვან აზრს გამოხატავს, ზოგჯერ მას წმინდა ემოციური ფუნქციაც აქვს. ემოციის გზით წარმოჩინებული აზრი კი ადვილი გასაგებია მაყურებლისათვის.

წარმოდგენაში არის რამდენიმე სცენა, რომელიც ტრაგიკულ ჟღერადობას აღწევს. აქ ლირიზმი და ტრაგიკული პათოსი ერთმანეთს ერწყმის, ერთმანეთს ავსებს. დაუვიწყარია ფიცის, დროშის ნაჭრების განაწილების, დაკითხვის სცენები, განსაკუთრებით კი — ფინალი.

ადამიანებს აქვთ, ეს არის ახალგაზრდობა, რომელმაც იცის ვის ებრძვის, რისთვის ებრძვის და რატომ სწირავს სიცოცხლეს სამშობლოს თავისუფლებას.

სპექტაკლში არ ჩანს ომის ეპოპეა, არ ჩანს ბრძოლის ბატალიები, „საშინელებათა გრანდიოზული სანახაობა“, მაგრამ აქ ყველაფერი ნაგრძნობია — ეს არის ახალგაზრდობის, მათ ცხოვრებაში, მათ გულებზე, მათ სიჭაბუკეზე გადავლილი მრისხანე ომი, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა ისინი, მაგრამ სულით ვერ გატეხა.

„ამათ ხომ სიტყვას ვერ დააცდენინებ“, — ამბობს სასოწარკვეთილი ბრიუკნერი (ნ. ბაგრატიონი) და შახტში ჩაყრით ემუქრება გვარდიელებს. ამაო აღმოჩნდა ფენგის (რ. იმნაიშვილი) მუქარაც, წამების ყველა მეთოდი და მთელი ის სამყარო, რომელიც ამ ახალგაზრდების წინააღმდეგ აღიმართა — სულით ძლიერებმა სძლიეს მტერს.

და ისევ „ინტერნაციონალი“, ისევ გამოსამშვიდობებელი სიტყვები. თავიანთი მეთაურის ირგვლივ შეკრებილნი, რკინის კონსტრუქციაში მომწყვდეულნი, ერთ ბირთვად ქცეულნი, წამოიმართებიან და ქანდაკებასავით გახევებულნი დგანან. ეს არის ძეგლად ქცეული გმირული სულის ახალგაზრდობის ამბოხი და მრისხანე პროტესტი ყოველგვარი ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

ექსპრესიული სულის, წმინდა და ნათელი ბუნების, გულუბრყვილო ვალია ბორცი (მ. სურმავა), რომელიც ჯერ სულ ბავშვია, სერგეი ტიულენინისაგან (ბ. კაკაბაძე) შეიტყობს, რომ ფაშისტებმა მისი მშობლები დახვრიტეს. ტიულენინი — ძლიერი და ამაყი სულის მეამბოხე ჭაბუკი — მღელვარებით ყვება პატიმართა განადგურების ამბავს, გვარდიელებსაც ეუფლებათ მისი მღელვარება. ბ. კაკაბაძის გმირის ტემპერამენტი, მისი თხრობის მანერა და ემოცია თითოეულ მათგანში გადადის, გაისმის მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, შეძახილები, ბოლოს მღელვარება მრისხანებაში გადადის — აბორგდება, აზვირთდება შურისძიების გრძნობა. ბორცის ქვითინი დრამატულ-მუსიკალურ ლეიტმოტივად გასდევს გვარდიელთა შეძახილს. ამ უკიდურესად მძაფრ ატმოსფეროში იბადება ფიცი კომკავშირელებისა, რომლებიც ახალგაზრდა გვარდიის რიგებში შედიან.

კოშევოის პირით (ზ. მიქაშავიძე) წარმოითქმება უწმინდესი სიტყვები („მე ოლეგ კოშევოი, შევდივარ რა ახალგაზრდა გვარდიის რიგებში, თანამებრძოლი მეგობრების წინაშე, მრავალტანჯულ მშობლიური მიწა-წყლის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე ფიცსა ვდებ“...), რომლის წარმოთქმის უფლება მოცემულ სიტუაციაში მხოლოდ სპეტაკი სულის

სტუდენტებმა გვიჩვენეს იმის მაგალითი, თუ რა შეუძლია „თეატრალურ ფანატიზმს“, „თეატრალურ გახელებას“. მათი შესრულება ოსტატობას, წლებით დაგროვილ გამოცდილებას კი არ ემყარება, არამედ თავიანთ „პირველ ხმას“, პირველქმნილ სიწრფელეს და ახალგაზრდულ შთაგონებას. ყველანი — დიდი და პატარა როლების შემსრულებლები თუ უსიტყვოდ მოქმედნი, — აქტიური სცენური ცხოვრებით ცოცხლობენ. ეს არის ერთი მთლიანი ხელწერით გამოძერწილი და ერთი გრძნობით გამსჭვალული ანსამბლი. ამ ერთიანობაშია მისი ძალაც, რადგან იგი აღმოცენებულია სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

აღზრდა მოქალაქისა და ხელოვანისა ერთი მთლიანი პროცესია. ხელოვანის შემოქმედებითი პოზიცია, მისი მხატვრული სიტყვის ძალა, მისი პრინციპები — ყველაფერი თავს იყრის იმ შედეგში, რომელსაც იგი გვიჩვენებს.

სადიპლომო სპექტაკლების კვირეული, რომელიც მსახიობთა სახლში შედგა, სტუდენტობის წლებთან გამოთხოვების დღეები. იყო ახალგაზრდა მსახიობთათვის (ზ. ანთელავა, მ. არაბული, პ. ბარათაშვილი, გ. გუგუჩია, ი. იანტბელიძე, ლ. კოპაძე, ნ. მამულაშვილი, ზ. მინდიკაური, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. რეხვიაშვილი, მ. ქარჩავა, მ. ჯინორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძუძუსხატი

მოთხრობა

გიორგი ხორგუაშვილი

ორი ათეული წელიწადი ჯერ არც კი მოლეოდა ჩინარას. რაკი გვითხრეს, თორემ ვინ ირწმუნებდა, უკვე შვილნაჩენი რომ იყო. კიდევაც ბევრი ასული ინატრებდა მის ეშხსა და სილამაზეს.

ჰაი, დედასა! მძიმე საწუხი ჩაღრმავებოდა გულში, თორემ კვლავინდებურად გაუძნელდებოდათ თვალის მოშორება მშვენიერების მწყურვალთ. სიკვდილმა დაუდაღა სული, სიკვდილმა. სიყრმის შვილი მოგლიჯა გულიდან.

ურძეობას აბრალებდა თვითონაც და „კარაბადინის" მცოდნენიც. ვინ იფიქრებდა, რომ ლალიანი რძე არ მოეძალებოდა სიცოცხლით სავსე ასულს?!.

ურძეობა გამხდარა მიზეზი ფუნჩულა ბიჭუნას დასნეულებისა და წუთისოფლის წამისად ქცევისა.

დედა ლამის ჭკუაზე შეუშლია შვილის სიკვდილს. სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა გამართულა მის არსებაში, სიცოცხლეს უძლევია მაინც და თავის ნებაზე გაუყოლებია. მეორედაც მოუყრია მშვიდობის მუხლი, მეორეც ვაჟი გასჩენია. იმისთვისაც პირველის სახელი დაურქმევია — იმედა.

გაჩენის დღიდანვე ერთთავად ზედ დაჭქათქათებდა მეორე იმედას, სიყრმის შვილის ადგილი რომ დაეჭირა დედის გულში.

ისიც ცოცხალი ბავშვი ჩანდა, მოუსვენარი, დაუდეგარი, ისე აფათფათდებოდა, თითქოს ეგ არის ფრთები გამოესხმება და ზეცაში აფრინდებაო.

დედა შეფიქრიანდებოდა კიდეც: მეტისმეტმა სიფხიზლემ არ გამომილნაპოსო ბავშვი და საძილედ მოაქცევდა. წყრომითა და ცაცხანით კი არა, ფერება-ალერსით, ღიღინ-სიმღერით. ჩვილიც უნებლიედ მისჩვეოდა და ვიდრე ნანას არ გამოსტყუებდა, წამწამს არ დააკარებდა წამწამზე.

ჩინარას სხვა სიყვარულიც მოჰმადლებოდა, მაგრამ ამას — დედაშვილურს, სულ სხვა სიკაშკაშე და სითბო ჰქონდა.

ამ სიყვარულით განათებოდა სული, დავიწყებოდა ყველა საწუხი, მაგრამ გულზე ჩრდილი დაეცემოდა, თავისი ურძეობა რომ გაახსენდებოდა.

ველარც ძროხის რძე გაუბედა თოთოს, ვაითუ აწყინოს და სანანებელი გამიხდესო.

ერთ ახალმშობელს შეუძუძუმტევა.

ჭარბად ჰქონდა ლალიანი რძე გაღმაუბნელ თებრას. დაუზარებლად ეძიძავებოდა თანატოლის ნაშიერს.

ჩინარას გული ეთანაღრებოდა — უსიამოდ გაახსენდებოდა ჭკუამკითხე მაშიას ნათქვამი: სხვისი რძით გაზრდილ ყმაწვილს ან დღე უნდა დააკლდეს და ან დედის მადლიო. ეჭვნეულად შეფიქრიანდებოდა კიდეც. მას შემდეგ უფრო, რაც იმედას აწყინა ძიძის რძემ. გული არეოდა და ეღებინებინა კიდეც. ეტირა, ისე ჩაბყირებულიყო, ძლივს მოებრუნებინათ ბავშვი.

ეს მხოლოდ ერთხელ მომხდარა, მაგრამ ყოველდღე ეფიქრებოდა ჩინარას. სიკვდილსაც ალანდებდა შიში.

ვიწრო თვალით დახედავდა თამამ ძუძუებს: „ჰაი, თქვე უქნარებო, თქვენა!" — უგულოდ შემოსწყრებოდა, ვითარცა გასაკიცხ ყმაწვილებს.

სულ იმის ნატვრაში იყო, რძე მისცემოდა როგორმე. მოეჩვენებოდა, თითქოს დაეძვროდა სიცოცხლის წყარო, მაშინვე შეიმარჯვებდა იმედას, ძუძუს მისთავაზებდა, მოშიებული ყმაწვილი მადიანად მოღუნავდა ძუძუსთავს, მაგრამ რაკი წვეთსაც ვერ ამოუურავდა, უკმაყოფილების ნაოჭებს აისხამდა იმ შავი წარბების გასაყარში და გაბრაზებით დაუტყაპუნებდა გაშლილ თითებს.

მაინც ეოცნებებოდა და ეიმედებოდა ჩინარას.

მარტო მას კი არა, ქმარსაც, დედამთილ-მამამთილსაც, მაზლებსაც. ძუძუსხატის სალოცავი აძლევდა რწმენასა და იმედს.

დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ძუძუსხატს, საიდან აღარ მოუდიოდა მლოცველი, ვისაც კი ურძეო რძალი გამოადგებოდა, ძუძუსხატისთვის უნდა ეახლებინა.

დათაშვილებმაც მალე გაამწესეს საძუძუსხატოდ თავიანთი ურძეო რძალი.

ერთი კვირით ადრე დაიწყეს მზადება.

საძნე ურემი გადააჩარდახეს, შეთქმული ზედაშე ახადეს. შოთ-ლავაში და ქადა-ნაზუქიც უხვად ჩაალაგეს, ხილეული და ტკბილეულიც არ დაივიწყეს. სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილებმა მაღალი ღმერთი ახსენეს, კარგადარაზული კერა ოჯახის ანგელოზს ჩააბარეს და ძუძუსხატის გზას გაუდგნენ.

— შეგეწიოთ ძუძუსხატი, შეგეწიოთ! — ლოცავდნენ მეზობლები.

— გწყალობდეთ ძუძუსხატი, გწყალობდეთ! — მისძახოდნენ უცნობები.

მიდიოდა მთელი ჯალაბობა, დიდი პაპა დათუა რომ მოჰქცეოდა სათავეში.

ჩინარა ურემში იჯდა მეტწილად. იმედას არ აშორებდა თვალსა და გულს. ხანდახან თუ შეენაცვლებოდნენ დედამთილი და მაზლისცოლები. მამაკაცები — ქმარი და მაზლები ქვეითად მისდევდნენ. რიგრიგობით მეურმეობდნენ, კოფოზე ჩამოჯდებოდნენ და ტკბილი „ურმულით" თუ სხვა სიმღერით ახალისებდნენ არე-მარეს.

მთელ დღეს იარეს, შეღამდა. ერთი დაღლა სავალი იყო დარჩენილი თავძუძუსხატამდე. იმ ღამეს ძუძუსხატის ნიშთან დაისადგურეს. ილოცეს.

დილაუთენია წამოიშალნენ, დინჯად დაიძრა დათაშვილების ჩარდახიანი ურემი და დილის სიხალისე გაიყოლია. მიჰყვებოდნენ აღმართს და მალიმალ გადმოხედავდნენ ჩატყიანებულ ხეობას, რომლის დაღმა მწვანედ გადამუქებული დაბლობი იშლებოდა. შებიბინებულ ბალახში უხვად მოფრქვეულიყო დილის ცვარი, რძისფერ ნათელზე ისე ბრწყინავდა, თითქოს ალმასის ნამსხვრევები გადმოუბნევია კალთაგადმოკიდებულ მთას. სიამეს ჰგვრიდათ იქაურობის მზერა, ხარბად სუნთქავდნენ კამკამა და გრილ ჰაერს. ლამის გალობაში აიყოლიეს ჩიტებმა, რომლებსაც ცისკარზევე გამოეღვიძათ, სიხარული ვერ დაეტიათ გულში და სიმღერა-გალობით მოჰყავდათ დილა.

მზეც ამოიწვერა. დახშირფოთლებულ ხეებში ძლივს შემოაძვრინა სხივები, შემოაპარა და თვალებში ჩაუციმციმა ხატისკენ მიმავალთ.

— ღმერთო, სიცოცხლე აზეიმე ქვეყნიერებაზე! — ხელები აღაპყრო დიდმა პაპამ.

აჰა, სალოცავსაც მიატანეს. დიდი აღმართი იწყებოდა.

ხარებმა დაიმუხლისჩოქეს. ესე უფრო ნაკლებად აბოლოვდებოდა ურემი და უღელსაც ღონივრად მოჰკიდებდნენ ქედს.

შემთხოვნელებიც მუხლებზე დაეცნენ. ასე თხოულობდა ძუძუსხატი. წინ ურძეო რძალი წაიმძღვარეს. იმასაც მუხლისჩოქვით აათავებინეს შეჭიდებული აღმართი.

მწვანიან ტაფობზე აივაკეს, გარშემო რომ მაღალი მუხნარი შემოჯაროდა.

სხვა მლოცველებიც მოსულიყვნენ — ზოგი წუხელის, ზოგი ამ დილით. მოსულიყვნენ და ერთმანეთის გვერდით დაბინადრებულიყვნენ. მეზობლებივით გაშინაურებოდნენ და გასჩვეოდნენ, მოსტკბობოდნენ და მოსიყვარულებოდნენ ერთურთს.

გუნება გამზიანებოდათ, სიცოცხლის სიყვარული, ადამიანის სიყვარული მოსძალებოდათ.

დათაშვილებმა მუხის ძირში მიაყენეს ურემი, ხარები გამოუშვეს, ქარი ამოალებინეს, თვითონაც თვალს წყალი დაალევინეს და ძუძუსხატისაკენ გაეშურნენ. მჟავარა მოზვერი სამჯერ შემოატარეს ეკლესიის გარშემო და მოშორებით წამოაქციეს.

ქალები შიგნით შებრძანდნენ, აქაც ჩინარა წაიმძღვარეს, ხელში იმედა დააჭერინეს, მუხლისჩოქვით აახლეს.

ქვის მაგიდაზე ესვენა ძუძუსხატი.

საგანგებოდ ნარჩევ ლოდზე გამოექანდაკებინათ ათქვირებული ასულის მკერდი, სწორედ მკერდის ტოლა. მარჯვენანაკურთხ მოქანდაკეს ისე გამოექვეთა, ისეთი სინამდვილითა და სიმშვენიერით აემაღლებინა, რომ მხილველს

---

დ. ჯოჯუა,), ეს იყო დიდი პრაქტიკა ახალგაზრდა რეჟისორებისა (ქ. დოლიძე, ნ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ა. იმნაძე, ც. ნაკაშიძე).

სადიპლომო სპექტაკლს „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" ხელმძღვანელობდა პროფესორი მიხეილ თუმანიშვილი. ეს მისი კლასი, მისი ექსპერიმენტული ჯგუფია, რომელშიც გაერთიანებულია ცხრამეტი მსახიობი და ოთხი რეჟისორი. მ. თუმანიშვილმა უშუალოდ განიცადა ფრონტის ცხოვრება, რამდენჯერმე იდგა სიკვდილის პირისპირ. აი, ამ ტკივილსა და სიხარულს ნაზიარები ჯარისკაცის, რეჟისორ მ. თუმანიშვილის სტუდენტებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ახალგაზრდა გვარდიის სახელით".

სპექტაკლები დ. კლდიაშვილის „მსხვერპლი", გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი", მ. ფერმოს „კარებს აჯახუნებენ" და „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" მასწავლებლისა და მოსწავლეების, ხელმძღვანელისა და სტუდენტების გატაცებული შრომისა და სიყვარულის ნაყოფია. მართალია, მათ წარმოდგენებში არის სუსტი სცენები და სახეები, არის სადაოც და საკამათოც, ყოველი მათგანი ერთნაირად საიმედო და პერსპექტიული არ არის, მათ სულში ამოუხსნელი შესაძლებლობანიც არის, მაგრამ მათი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები აჯამებენ იმ გზას, რომელიც ამ ახალგაზრდებმა თეატრალური ინსტიტუტის კედლებში ოთხი წლის მანძილზე გაიარეს.

გაუბედავ, პატარა ნაბიჯებიდან მაღალ მოქალაქეობრივ შემართებამდე განვლილია რთული პროცესი, იწყება კიდევ უფრო რთული და დიდი გზა — ხელოვნების დიდი სიმაღლეებისაკენ.

ვინ როგორ ან რამდენად მიუახლოვდება ამ მწვერვალებს, მომავალი დაგვანახვებს. ჩვენ გვჯერა, რომ ახალგაზრდული გატაცება, რწმენა, საქმისადმი სიყვარული და თავდადება ბევრ სიხარულს მოუტანს ხელოვნების ამ მეტად მძიმე და სასიხარულო გზაზე.

კეთილი იყოს ქართული თეატრის ახალი ნაკადის პირველი ნაბიჯები.

გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ცოცხალი დიაცის მკერდად ეჩვენებოდა, თითქოს ეს მკერდი უმშვენიერეს ასულს აუდ-ჩაუდიოდა, ერხეოდა, თითქოს ერთი წავლება უნდა ძუძუსთავს, ღრძილების ჩავლება და ღალიანი რძე წამოსკდებოდა...

საიდან აღარა ხლებიან ძუძუსხატს. ღმერთმა იცის, რამდენი ქალის მკერდი შეხებია ამ ცივ ლოდს. შეხვეწნიან, შევედრებიან, დაიმედებულნი გამომშვიდობებიან, ძლიერი და მადლიანიაო ძუძუსხატი, თავისი წესის შესრულებას თხოულობსო უკლებლივ, უცოდველი უნდა იყოო, გალიმებით უნდა მიუხვიდეო, მუხლისჩოქვით უნდა ეახლოო, ასნაირ პირობას ჩამოთვლიდნენ.

ჩინარაც აკი უცოდველად თვლიდა თავს, გალიმებით, მუხლისჩოქვით ეახლა. მარტო კი არა, მთელი ოჯახი.

სანთლები დაანთეს, პირჯვარი გადაიწერეს, შესთხოვეს, კარგა ხანს ილოცეს. დაიმედებულნი გამობრუნდნენ.

დიდი მუხის ჩრდილში გაშალეს სუფრა, დიდიან-პატარიანად შემოუმწკრივდნენ გარშემო. მოხერხებულად მოიკეცეს, დიდ პაპას სუფრის თავობა ჩააბარეს. ზედაშით გალიცლიცებული სასმისი მიართვეს. ძუძუსხატი დალოცა, ბარაქიანად გადაყლურჭა, ღვინით ჩამოცინცხლული წვერი შეიბერტყა და გამოცლილი ყანწი უმცროს შვილს გადაულოცა. მანაც სიტყვაუხვად ადღეგრძელა ძუძუსხატი და უფროს ძმასთან გადავიდა ალავერდს.

ყველამ ჩამოირიგა ყანწი, ყველამ გულით დალოცა ძუძუსხატი. დალოცეს და საგალობელიც მიაყოლეს, ძუძუსხატის სადიდებელი და სავედრებელი, კარბელაანთ კილოზე რომ იყო შეწყობილი.

მადიანად შეექცეოდნენ, მწყურვალედ სვამდნენ, ადიდებდნენ მაღლა ღმერთს და დაბლა ადამიანს, სიცოცხლეს, მამულს, მშვიდობას, შრომას, სიმართლეს. გული საგულეს ვეღარ ეტეოდათ. რაღაც უძლეველ ძალას ჰგრძნობდნენ, იმედი მისცემოდათ, დიდი იმედი, ყველაფრის იმედი, პირველ რიგში ის ეიმედებოდათ, რომ ურძეო რძალს რძე მიეცემოდა.

ჩინარას ყველაზე მეტად მომძლავრებოდა რწმენაც და იმედიც. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უჩვეულო რამ დაიძრა მის მკერდში, ბავშვს მიიმარჯვებდა, ძუძუს მისთავაზებდა და წვეთსაც რომ ვერ გამოსწოვდა, უსიამო გუნებაზე დადგებოდნენ ჩვილიც და თვითონაც. მთელი კრებული მისჩერებოდა, რაკი უარს ამოიცნობდნენ, ლოცვა-ვედრებას მოუხშირებდნენ.

კიდევ ემთხვიეო ძუძუსხატს, — ურჩევდნენ უფროსნი.

ეკლესიისაკენ მარტოკამ გასწია.

ხარბად შეათვალიერა კედლები. ადამიანებივით იმზირებოდნენ ხატები — თითქოს შეტოკდნენ, ამოძრავდნენ, გაიღიმეს კიდეც, თითქოს ხმაც გაიღეს.

დედაღვთისისას მიაშტერდა ჩინარა. ღმერთია თუ ადამიანი?! ხატია თუ სულდგმული?! გაბრუებულივით იდგა და თვალებგაფართოებით მისჩერებოდა. ოდნავ დაეხარა თავი დედაღვთისას, მცირედად გაეხსნა ბაგე. ძლივს შესამჩნევი ღიმილი დაემჩნია თხელი ტუჩების კიდეებზე და ღრმა თვალთა კილოებში, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით დასცქეროდა მკერდზე მირქმეულ შიშველ ყრმას, რომელსაც დედის მკლავზე გადმოეკიდა პაწია, თითებგაშლილი ფეხები, მშობლის მკერდს მობღაუჭებოდა გაფარჩხული ხელის თითებით და ხარბად დასწაფებოდა ძუძუს, ცალი თვალი მაცქერალისკენ მიეპყრო, თითქოს შიშობდა, არავინ შესცილებოდა. იგი სიცოცხლით სავსე, მშვენიერი, მოძრავი და მოქმედი ადამიანის ფერებით იყო გაუკვდავებული.

აჰა, ბავშვიც შეიშმუშნა, ამოძრავდა, მოწყურებულმა მოუცაცუნა ტუჩები, პაწია ხელიც მიმოუსვა მკერდზე დედას, ფეხიც გაიქნია, დედამაც აამოძრავა თვალები და თბილად გაუღიმა ჩინარას. აჰა, ბაგეც შეარხია, ხმა გაიღო, თითქოს გამოელაპარაკა, რას უცდი, რატომ არ ლოცულობო.

ჩინარას გაახსენდა, რომ სალოცავად იყო მოსული, სანთლები დაანთო, პირჯვარი გადაიწერა, მიმოიხედა, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. გულმკერდი მოიშიშვლა, სწორედ ქანდაკების ტოლა, სწორედ მისი მსგავსი. მკერდი მკერდს შეუსწორა და ფრთხილად შეახო.

— ბარაქა მოეც! — სამჯერ შესთხოვა ძუძუსხატს. სამჯერ აკოცა, სამჯერ ემთხვია ძუძუებზე.

„ბარაქა მიეც!“ — სამჯერ გაიმეორეს ხატებმა.

მკერდი გამოაშორა. კვლავ მწყურვალედ მიაშტერდა. თითქოს მხოლოდ მკერდი კი არა, ადამიანი იყო გამოქანდაკებული.

არა, ქანდაკება კი არა, მის წინ სიცოცხლით სავსე ასული იდგა.

აგერ, ძუძუები შეერხა ქანდაკებას და რძემაც გადმოწვეთა.

გაკვირვებულმა ჩინარამ მკერდზე დაიხედა, დააცქერდა და მასაც უცებ შეუკრთა ძუძუები. რაღაც მოაწვა მკერდში, რაღაც დაეძრა, თბილი, მოუთმინარე... სიხარულიც დაეძრა გულში.

— ის არის! — წამოიძახა აღტაცებულმა.

— „ის არის!“ — ახარეს ხატებმა და ქანდაკებებმა.

ერთხელ კიდევ შეუცმუკდა მკერდი. წვეთები გამოეცვარა ძუძუსთავებიდან.

— რძე! — წამოიყვირა ჩინარამ.

„რძე“! — მშვიდად გაიმეორეს ხატებმა.

მოეჩვენა თუ სინამდვილეა?

„სინამდვილე, სინამდვილე!“ — დაუდასტურეს ფრესკებმა.

ბავშვი ძუძუს მივარდა და ხარბად გამოსწოვა. მოაყირჭა, ერთხელ კი არა, მრავალჯერ. უცებ გაეზარდა ყმაწვილი, დაუვაჟკაცდა, ერთი ათად ექცა. უფრო შორს გაიტაცეს მოჩვენებებმა. კალთაზე სათითაოდ შემოუსხდნენ ირაკლი, ვახტანგი, დავითი, გიორგი, სულხანი, მირიანი, ფარნავაზი, თამარი, რუსუდანი, გურანდუხტი, სათითაოდ წოვენ ძუძუს... ვერა და ვერ გამოულიეს.



ზურაბ ნიჟარაძის ნახატი

— დიდება შენს ძალას! ძუძუსხატო! — წამოიძახა ჩინარამ და ეკლესიიდან გამოვარდა.

— რძე... რძე!.. — იძახდა შეშლილივით და მესუფრეებისაკენ მირბოდა თუ მიფრინავდა.

მესუფრენი წამოიშალნენ და პირდაღებულნი შესცქეროდნენ ჩინარას, რომელიც იმედას დასწვდა, აღარავის მოერიდა, მკერდი მოიშიშვლა და მოშიებულ მონაგარს ძუძუ შესთავაზა.

ჩვილმა ღონივრად მოუჭირა ღრძილები დედის ძუძუს, მაგრამ ამაოდ ეძაგრებოდა.

— გაავსეთ ყანწები! — აღტაცებით წამოიძახა ჩინარას ქმარმა.

გახარებული დიდი პაპა ძუძუსხატის დასალოცად წამოიმართა.

მლოცველებს ვერ გაეგოთ, ნამდვილად მოეცა რძე, თუ ელანდებოდა ურძეო ქალს.

# მოგონების ერთი ფურცელი

მეთოთხმეტე შრომის სკოლა, სადაც ოცდაათიან წლებში ვსწავლობდი, ერთ-ერთი მოწინავე სკოლა იყო თბილისში. აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი მწერლები და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები: კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ ხურომე, ვარლამ გელოვანი, სოლო ფურცელაძე, ნინო ბოცვაძე, მარიამ აბდუშელიშვილი, სოსო ბარათაშვილი, თამარ ყაზახაშვილი, ეპიფანე ვასაძე, თამარ ნიკოლაძე და სხვები.

სკოლაში კრწანისიდან დავდიოდი, თათრის მოედნამდე ღია ტრამვაით, შემდეგ კი ფეხით გავყვებოდი შუა ბაზრის ქუჩას და სოლოლაკის გავლით მივიდოდი პასკევიჩის ქუჩაზე (ამჟამად მახარაძის ქუჩა), სადაც მეთოთხმეტე შრომის სკოლა იყო მოთავსებული. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ დავეშვებოდი ლერმონტოვის ქუჩით კრწანისისაკენ. მაგრამ თუ მშიერი ვიყავი, მაშინ სოლოლაკით მივდიოდი შინისკენ, ვინაიდან სოლოლაკში პავლე ომიაძეს თონე ჰქონდა. შევივლიდი თუ არა თონეში, მოხუცი კეთილად გამიღიმებდა და მაშინვე მომაწოდებდა ერთ ცხელ შოთ პურს.

ერთხელ ლერმონტოვის ქუჩით ორთაჭალა-კრწანისისაკენ მივდიოდი, გზაზე ვიღაც ლამაზმა კაცმა გამაჩერა და მკითხა: როიალზე ხომ არ უკრავთო. ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ მერე გაბედულად ვუთხარი, — დიახ, ბატონო, ვუკრავ-მეთქი. ჩემმა პასუხმა გაახარა და მითხრა: საღამოობით დრო თუ გექნებათ, ჩემს ბალ-რესტორანში როიალზე დაუკარითო. როგორც შემდეგ გავიგე, ეს კაცი ყოფილა რაჭველი მოწონელიძე, რომელსაც ლერმონტოვის ქუჩა № 10-ში ბალ-რესტორანი ჰქონდა. მეორე დღეს ყველაფერი ეს სკოლაში ბათუ კრავეიშვილს ვუამბე, რომელიც ჩემთან სწავლობდა. ვთხოვე, წამოსულიყო რესტორანში და როიალზე დაეკრა. ბათუს უარი არ უთქვამს, პირიქით, გაუხარდა.

იმავე დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ბათუ კრავეიშვილი წავიყვანე რესტორანში მოწონელიძესთან. მას ძალიან მოეწონა შავთმიანი ლამაზი ბიჭი და უთხრა: აბა, ერთი, ესტრადაზე ადი და დაუკარიო. ბათუ იმწამსვე ესტრადისაკენ გაეშურა, მეც თან გავყევი და შორიახლო ჩამოვჯექი. ახმიანდა როიალი, რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმა მოქეიფემ მას სიმღერა შეუკვეთა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე და ერთხელ, როცა ბათუ ბალ-რესტორანში როიალზე უკრავდა და მღეროდა, შევამჩნიე რესტორნის შესასვლელთან ვიღაც გვითვალთვალებდა. ბათუ კი განაგრძობდა როიალზე დაკვრასა და სიმღერას. და აი, გავიდა რამდენიმე დღე და მე და ბათუ სამასწავლებლოში გამოგვიძახეს. იქ ჩვენი მასწავლებელი თამარ ნიკოლაძე დაგვხვდა, მან გაიღიმა და გვითხრა: თუ თქვენ საშუალო სკოლაში სწავლა არ გინდათ, მაშინ შედით მუსიკალურ სასწავლებელში და იქ ისწავლეთო. ამის მეტი მას ჩვენთვის არაფერი უთქვამს. ჩვენ მივხვდით, რომ რესტორნის კარს უკან დამალული ქალი, რომელიც იმ დღეს ბათუს სიმღერას უსმენდა, ჩვენი მასწავლებელი თამარ ნიკოლაძე ყოფილა.

ამის შემდეგ ბათუ კრავეიშვილი რამდენიმე დღეს უკრავდა და მღეროდა ბალ-რესტორანში.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ლერმონტოვის ქუჩით კრწანისისაკენ მიმავალს ხშირად მხვდებოდა მოწონელიძე, რომელმაც მითხრა, თუ როგორ მოდიოდნენ რესტორანში მოქეიფენი და სიმღერის მოყვარულნი, რათა მოესმინათ ბათუ კრავეიშვილის ტკბილი სიმღერა. და მთხოვა ერთხელ კიდევ სწვეოდა მის რესტორანს, გაორკეცებულ ჰონორარსაც გადავუხდიო, მაგრამ ბათუ კრავეიშვილს რესტორანში შემდეგ აღარ უმღერია, ვინაიდან მას ბავშვობიდანვე გული მიუწევდა ოპერისაკენ, სურდა დიდი და სახელოვანი მომღერალი გამხდარიყო. მართლაც, ბათუ ასედაც მოევლინა ქართულ საოპერო ხელოვნებას.

როდესაც ბათუ კრავეიშვილი ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში შემოივლიდა, ხშირად იგონებდა მოწაფეობისდროინდელ ამ ეპიზოდს და მადლობას უთვლიდა შესანიშნავ მასწავლებელს თამარ ნიკოლაძეს.

ალექსანდრე სიგუა.



# ლექსები

ბელა შალვაშვილი

## თქვენი სიცილი

თქვენ ისე კარგი, გადამდები სიცილი იცით,
რომ ქვეყანაზე ერთადერთი — სიცილით გმართებთ,
დააფრთიანებს სითბო მისი უმწეო მართვეს,
ისე ლაღი და გულმართალი სიცილი იცით.
უებარ წამალს ადარებენ ამნაირ სიცილს,
ხშირად იცინეთ, ხომ გწადიათ გულები გათბეს...
თქვენ ისე კარგი, გადამდები სიცილი იცით,
მხოლოდღა იგი ზოგზოგს მაინც სიმშვიდეს ართმევს.

## არ ვიცი... რატომ

ისე ლამაზად, მთრთოლვარედ თოვდა,
მე გამირბოდა თვალები ცაში,
გული გაჭრას და სიყვარულს მთხოვდა
და სწორედ მაშინ შემომხვდი გზაში.
მერე... ყურება დამჩემდა ცაში
და შევეჩვიე კიდეც მოლოდინს...
ჩვენ უცნობები ვიყავით მაშინ
და უცნობებად დავრჩით ბოლომდის.
დადიხარ ასე, დავდივარ ასე,
და აღარა აქვს ბოლო მოლოდინს...
არ ვიცი რატომ, არ ვიცი რაზე,
ჩვენ უცნობებად დავრჩით ბოლომდის.

* * *

ამაღამ უნდა გამოჩნდეს მთვარე,
მე ასე მინდა, ასედაც მჯერა,
ის მომანათებს სხივოსან თვალებს
და გამიხდება ნათელი მზერა.
რაღა თქმა უნდა, დამხედავს იგი,
მხოლოდღა როდის, არ ვიცი ჯერაც...
მომეახლება ნათელი, დიდი
და დავანებას ისურვებს ველად,
ლივლივებს ცაზე, ვდგავარ და ვუმზერ,
ხვალ კი სხვაგვარად დაიწყებს ლივლივს,
როცა ლამაზად მოვირგებ ყურზე
და დიდი ოქროს საყურით ვივლი.
ამაღამ უნდა დამხედოს მთვარემ —
ასე მწადია, ასედაც მჯერა...
ვიცი თვალებში ჩამხედავს იგი
და სხივოსანი მექნება მზერა.

დოდო ჯაჯვლიანი

## სიზმარი

გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ
ფერადი მძივით მოქარგული
ჭრელი ქათიბი...
გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ
გაუთიბავი გრილი სათიბი...
გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ
ყვავილების ჭიაკოკონა,
მათ ესიზმრებათ
შროშანასავით ნაზი გოგონა,
პეპლის ფრთები და
კალიების გაბმული ზარი...
გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ
გაუთიბავი სათიბის ქარი...

* * *

სულში სხივი წრიალებს —
ქარში ატმის ტოტივით.
ველარ გაგიზიარე
ჩემი ფიქრის მოტივი.
ველარ შემოვიხვიე
ნისლი ვერცხლის მანდილად.
ველარ, ველარ და ველარ
მწვერვალს ველარ ავდივარ.
დამეკარგა სიზმარი
ახლა სხვასთან რიალებს,
აუ, ველარ გითხარი
ნაკადულის წკრიალით,
ბალახების ცახცახით
მოვარდნილი მოტივი...
სულს კი ლექსი დასძახის
აყვავებულ ტოტივით.

## მთებო

თქვენი ჭაღარა თავები
ყოველთვის მაგონებენ
ჩვენებურ
სვანურ ნაბდის ქუდებს...
და ეს თავები
თუ ქუდები ისე მიყვარს,
როგორც შვლის ნუკრს უყვარდა
თავისი ლამაზი და
ამაყი დედა...

## გაღვიძება

ამოგვიარა მზემ ისევ
შეათამაშა დაირა,
სხივები გადმოგვაყარა
ლამაზად, ნაირ-ნაირად.
მერე ყაყაჩო მოჰფინა
მინდვრებს,
ბილიკს და
მდელოსპირს
და შუქჩამდგარმა დასტოვა:
ვილოცხლოთ საქართველოსთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი აბულაძე**

## ც ხ რ ა ნ ი

როცა ცხრა დევის არის ხსენება,
ცხრა გაზაფხული მოგვეჩვენება,
ცხრა ციხარტყულას ვუცქერით ცაზე,
ცხრა ნაჭრილობევს ველარ ვამთელებთ,
ცხრა ყაყაჩოთი თაიგულს ვავსებთ,

ცხრა ყველაფერი გვიყვარს ქართველებს,
და კიდევ მეტად შეგვიყვარდება,
რაც უფრო მეტი გაივლის ხანი,
რადგანაც ერთი დედის ნაშობი
მარადის ველზე დაეცნენ ცხრანი.

## წ ვ ი მ ა

რომ დაეკოცნა irგვლივ გულწრფელად
მწვანე ვაშლები, მწვანე ატმები
გზაზე მორბოდა, წინ კი უსწრებდა
მტვრის ნამცეცების კორიანტელი.
წყურვილისაგან თითქმის ყელგამშრალ
ვენახს, ბალახებს, ხეხილს და მიწას —

წყალს აწოდებდა ყველას ერთბაშად
და როცა ჩქარი ფეხის ხმა მიწყდა,
და როცა წვიმის ფეხის ხმა მიწყდა,
გზის პირას სველი იდგნენ ხეები.
გზაზე კი ჩანდა ნაფეხურები —
პატარ-პატარა წყლის გუბეები.

## ჩ ი ტ ი

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!
— ტიავ-ტიავ-ტიავ!
სალამი მომიტანე?
— დიახ!
   დიახ!
      დიახ!
ყველგან მშვიდობა მიაქვს,
ყველა ეზოში მიდის.

დილაა,
   თბილი მზეა,
ისევ ისმის ჩიტი:
— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!
ტიავ-ტიავ-ტიავ!
ბედნიერება მოგვაქვს?
— დიახ,
   დიახ!
      დიახ!

**ლია ჯაყელი**

* * *

ოქტომბრის ქარი
ოქროს ღილებს
მაბნევს კაბაზე —
აკაციებმა
გაუგებარ
სევდით ამავსეს,

ეს ცა — ფირუზი
რაღაც უცხო
გრძნობას მანიჭებს...
მთები კი გვანან
მთიელების
ლამაზ პაჭიჭებს...

გავყუჩდები და
მხოლოდ წამით
მომაგონდები...
გზას სველი ფუნჯით
ახატია
ხმელი ფოთლები.

* * *

წვიმამ გული იჯერა
და დაღვრემილ ფოთლებზე
სველი ბზინვა ბატონობს.
მე და ჩემი ფიქრები,
როგორც ტოლთან ტოლები

ვდგავართ ხესთან მარტონი...
ფოთლის ცრემლი ნაგუბი
დაუგორდა ლოყაზე
და დუმილით ამბობდა:
არ ატირო მოყვასი.

## ტალეს წყარო

დააბრმავესო ტალეს წყარო
ხევმა გასძახა ხევს...
ცა ისევ ისე ლურჯია და
მზე ისევ ღრუბლებს ხევს.
ვის ესმის ხეთა შარიშური —

გააქვს გუგუნი ბურღს.
ძველი სიმღერა დამწვარა და
სულ სხვა სიმღერა დუღს,
ძველი წყარო დამწდარა და...
გული ტიალი სწუხს.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქალის კალმით

ამას წინათ „ოგონიოკელებმა“ თავიანთი ჟურნალის ორიათასმეხუთასე ნომრის გამოსვლა იზეიმეს. მოგაგონებთ რომ ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის „ოგონიოკის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1923 წლის აპრილის თვეში, ცნობილი საბჭოთა მწერლისა და ჟურნალისტის მიხეილ კოლცოვის რედაქტორობით.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საბჭოთა ბეჭდვით სიტყვაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა ჟურნალ „ოგონიოკის“ თანამშრომელთა ჯგუფი. მათ შორის, ხალხთა მეგობრობის ორდენით — ქართველი ჟურნალისტი ქალი — ია მესხი — ჟურნალ „ოგონიოკის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის სსრ რესპუბლიკებში.

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი გულნარა ბახტაძე შეხვდა ია მესხს და ჟურნალ „დროშის“ რედაქციის სახელით მიულოცა ესოდენ საპატიო ჯილდო. მათ შორის გაიმართა საუბარი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

— თუ არ ვცდები, ოც წელზე მეტია, რაც თქვენ „ოგონიოკში“ მოღვაწეობთ.

— დიახ, თითქმის 25 წელია. „ოგონიოკამდეც“ გრძელი გზა განვვლე... თავიდან მინდა დავიწყო... ფეხი ჩვენს „სალამოს“ გაზეთში ავიდგი. ჟურნალისტური გზა ნინო ჩხუბიანმა დამილოცა. ქალბატონი ნინო დღესაც მოღვაწეობს ამ გაზეთში. მახსოვს, ეს ქალი საოცრად ბევრ თამბაქოს ეწეოდა, მე, ახალბედა ჟურნალისტს, მეგონა, რომ ეს ჟურნალისტის გარეგანი იერისათვის აუცილებელი იყო. ერთხანს გაზეთ „მოლოდოი სტალინეცში“ ვმუშაობდი. მერე თორმეტი წელი ციმბირში ვცხოვრობდი, ვმუშაობდი აგრეთვე გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“, 1951 წლიდან დღემდე კი ჟურნალ „ოგონიოკს“ ვემსახურები.

— ჟურნალმა „ოგონიოკმა“ თავისი არსებობის მანძილზე (52 წ.) გამოუშვა 2.500 ნომერი, აქედან რამდენ ნომერშია გამოქვეყნებული თქვენი მასალა?

— 100-ზე მეტ ნომერში. მე მარტო ჩემი ხელმოწერით დაბეჭდილ ნარკვევებს როდი ვგულისხმობ. მხედველობაში მაქვს უშუალოდ ჩემი მონაწილეობით, როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ჩემს მიერ ორგანიზებული მასალებიც. „ოგონიოკში“ ხშირად იბეჭდებიან ქართველი მწერლები, კომპოზიტორები, პოეტები, ჟურნალ „ოგონიოკის“ ქართველი მკითხველები — ჩემი აქტივი.

— თქვენი ნარკვევებიდან და რეპორტაჟებიდან რომელია თქვენი საყვარელი თემა?

— მეგობრობა. მეგობრობა ადამიანებს შორის. მეგობრობა სხვადასხვა ხალხებს შორის, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ხალხთა შორის. მე ყოველთვის ვეძებ და ვპოულობ ამ თემას. მოგეხსენებათ მე ქართველი ვარ და ბუნებრივია, რომ მიყვარდეს ჩემი ქვეყანა. მაგრამ როცა სხვა მიწა-წყალზე ვიმყოფები, ვეცნობი იქაურობას, ეს მიწა, ეს ადამიანები საოცრად ახლობლები ხდებიან ჩემთვის და ვიწყებ მათთან მეგობრობას. უკანასკნელ ხანებში პრობლემური, პუბლიცისტური გამოსვლები მიტაცებს. გახსოვთ, ალბათ, ჩემი ნარკვევი „ადამიანმა ადამიანი გადაარჩინა“, — ნარკვევი გოგონაზე, რომელმაც ბავშვი იხსნა სიკვდილისაგან და ამის გამო თითონ ფეხები დაჰკარგა. ამ წერილში ვსვამ საკითხს: განა შეიძლება ასეთი ადამიანები დარჩნენ საზოგადოებრიობის ყურადღების გარეშე?! ჩვენ მათზე მარტო გაზეთში გამოქვეყნებული ნარკვევით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ასეთი ადამიანისათვის უნდა მეტი გავიღოთ, ისინი გმირებად უნდა ვაღიაროთ.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენთვის, ქალებისთვის, იოლია ჟურნალისტობა? მხედველობაში მაქვს პროფესიის ფიზიკური მხარე, მივლინებები, სადაც გვიხდება მოგზაურობა თვითმფრინავით, ვერტმფრენით, ცხენითაც კი... იშვიათი როდია შახტებში ჩასვ-

ლა და გავარვარებული მარტენის ღუმელებთან დგომა.

— რა თქმა უნდა, არც ისე იოლია. ჩვენ არაფერში არ ვუდებთ ტოლს მამაკაცებს. ბევრჯერ თავს საფრთხეშიც ვიგდებთ. მახსოვს ერთხელ, დიდი ხანია მას შემდეგ, კოლხეთში მთავარი არხი გაჰყავდათ, გზა დამებნა, შუაღამემდე ტყეში ვიხეტიალე, იცოცხლე, შიშის ქარმა ამიტანა. ერთხელ სვანეთში, უშგულთან ცხენიდან გადმოვვარდი და კლდეზე ჩამოვეკიდე. დღეს რომ ცოცხალი ვარ, უშგულელ ვარდენს ვუმადლი.

— კმაყოფილი ხართ განვლილი გზით, თქვენი პროფესიით?

— ძალიან. რომ შეიძლებოდეს ყველაფრის დავიდან დაწყება, პროფესიად მე ისევ ჟურნალისტობას ავირჩევდი.

— არსებობს აქტიური და პასიური ჟურნალისტი. ერთი, რომელიც ხშირად ჩანს პრესის ფურცლებზე და მეორე, რომელიც შიდა სარედაქციო სამუშაოებს ანდომებს მეტ დროს. რამ გამოიწვია თქვენში ეს აქტიური შემოქმედებითი ბიძგი?

— ისევ და ისევ პროფესიისადმი სიყვარულმა.

— თქვენ ბევრი იმოგზაურეთ, რომელ მხარეს იცნობთ უკეთ?

— ციმბირს, შუა აზიას, ჩუკოტკას და რასაკვირველია, ამიერკავკასიას.

— თქვენი ნარკვევები, წიგნები, ალბომები საქართველოზე სიყვარულით მოუთხრობენ საბჭოთა და საზღვარგარეთელ მკითხველებს ჩვენს რესპუბლიკაზე. გყავთ თუ არა თქვენს ნაწარმოებებში გამორჩეული გმირი?

— დიახ. ნიკო ნიკოლაძე. გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, დიდი მოღვაწე. ამ შესანიშნავ პიროვნებაზე მე დავწერე დოკუმენტური მოთხრობა, რომელიც მალე გამოვა.

— თქვენი მომავალი გეგმები?

— მე მათ წინასწარ არასოდეს არ ვსახავ. ველოდები შეხვედრას მათთან, ვუცდი გულის კარნახს.

— როგორც კოლეგას მაინტერესებს, გაშინებთ ხოლმე სარედაქციო დავალება?

— თითქმის ყველა. რადგან ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ძალზე დიდია. მასალის გამოქვეყნების შემდეგ ნარკვევის გმირთან ერთად სამსჯავროზე ხომ შენც გამოდიხარ?

— გეთანხმებით. მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, ასეთი უხერხული გრძნობა, როგორც ახლა მაქვს ჩემი ნარკვევის გმირის წინაშე, ჯერ არასოდეს მქონია. იოლი არაა თანამოკალმეზე ნარკვევი დაწერო. ამიტომ ინტერვიუზე უნდა შევჩერდე. დაე, ერთად გავინაწილოთ პასუხისმგებლობა.



# ბუნების კარი

## უთხოვარი

უთხოვარი — ეს ძვირფასი ჯიში ურთხლის ანუ ურთხელის სახელითაც არის ცნობილი. სულხან საბა მას „ულპოლველ ძელს“ უწოდებს. „ულპოლველ“ ხედ იხსენიებს ცნობილი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილიც.

ხალხური თქმულება გადმოგვცემს: უთხოვრისა და ფოლადის ნაჭრები მიწაში ჩაუფლავთ, გასულა წლები, ფოლადი ჟანგს შეუჭამია, უთხოვარს კი ნირიც არ ჰქონდა შეცვლილიო.

ძველ საქართველოში, როცა ქალს გაათხოვებდნენ, მზითევში უთუოდ ამ ხისაგან დამზადებულ ავეჯს ატანდნენ.

ბევრ ოჯახში ახლაც შეხვდებით ურთხელისაგან დამზადებულ ტახტს, სკივრს, კარადასა თუ სხვა ავეჯს, რომლისთვისაც ჟამს ვერაფერი დაუკლია. ბევრ მათგანს მუზეუმებშიც თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი.

მომხდურმა მტერმა კარგად იცოდა ამ ძვირფასი ხის ყადრი. უმოწყალოდ ჩეხავდნენ მას და სხვა განძეულობასთან ერთად გაჰქონდათ საქართველოდან. რასაც გასატანად ვერ ერეოდნენ, ჭრიდნენ და ანადგურებდნენ. ამის შედეგად ისე გაჩანაგდა ეს ძვირფასი ჯიში, მისი ავეჯი დიდგვაროვანთათვისაც სანატრელი გამხდარა. თამარ მეფეს აუკრძალავს ამ ხის არა მარტო მოჭრა, მისი მოჭრის ნებართვის თხოვნაც კი. აქედან წამომდგარა მისი სახელი — უთხოვარი.

მესამეულ ხანაში ეს ჯიში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამჟამად კი გადაშენების გზაზეა. ზოგიერთ ქვეყანაში ერთეული ძირებია შემორჩენილი.

ამ მხრივ მსოფლიოში იშვიათი გამონაკლისია ბაწარას ხეობის ნაკრძალი, რომელიც ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში მდებარეობს. მხოლოდ აქ გვხვდება უთხოვარის ტყე, რომელიც აქ ცალკე ბიოსაზოგადოებას ქმნის. რვაას ჰექტარამდე ფართობზე შრიალებენ ეს ძვირფასი მცენარეები. მათ შორის ვხვდებით უნიკალურ ეგზემპლარებსაც, რომელთა ასაკი თვრამეტ საუკუნეს აღემატება, ხოლო კორომის საშუალო ხნოვანება შვიდასი-რვაასი წელია.

უთხოვარი ძალზე ნელა იზრდება; იგი თითქმის სამი ათას წლამდე ცოცხლობს. საუკუნეებია საჭირო მისი ნერგი ხედ რომ იქცეს. ათასწლოვანი ხეების სიმაღლე ოცდაათამდე, ხოლო გარშემოწერილობა ერთნახევარ მეტრამდე აღწევს. ამ ხნოვანებამდე წიფელი ჩვეულებრივი ზრდის პირობებში გადააჭარბებდა ორას მეტრ სიმაღლეს და ექვს მეტრ დიამეტრს. ასეთი ძნელი ზრდის გამო იძენს უთხოვარი განსაკუთრებულ თვისებებს; მისი წლიური რგოლები მეტისმეტად მჭიდროდ არიან განლაგებულნი, მოყვითალო-წითელი ფერის მერქანი მკვრივი და ლამაზია.

პანკისის ხეობის მკვიდრნი — ფშაველები, თუშები, ხევსურები, ქისტები უთხოვარს ცულს არ შემოკრავენ, ტოტსაც არ შეაცლიან.

მესამეული ხანის რელიქტის — ბაწარას ხეობის უთხოვარის კორომები მსოფლიო მნიშვნელობის არის. ოთხი ათეული წელია აქ არსებობს სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდიდარ ლაბორატორიას წარმოადგენს. აქ სწავლობენ ამ იშვიათი ჯიშის ბიოეკოლოგიას და მისი გამრავლების თავისებურებებს, რათა იგი სხვა ადგილებშიც დაინერგოს და კვლავ ძველებურად იშრიალოს უთხოვარის ტყეებმა.

# ლიტერატურული კურიოზები

ერთხელ ალექსანდრე დიუმა-შვილს სხვისი პიესიდან რომელიღაც ეპიზოდის მოპარვაში დასდეს ბრალი.

— რა არის ამაში ცუდი? — უპასუხა დიუმამ. — ცუდი წრის ქალიშვილი კარგ წრეში მოვახვედრე! ამისათვის მადლობა უნდა მითხრან! — დიუმა დაფიქრდა და პაუზის შემდეგ დამაჯერებლად თქვა:

— გენიოსი არ იპარავს, ის იპყრობს!

* * *

ოსკარ უაილდი საქვეყნოდ ცნობილი მწერალი იყო, როცა ბერნარდ შოუ ის იყო გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე და მისი მნიშვნელოვანი მეტოქეც გახდა კალამბურებსა და ხუმრობებში.

ერთხელ ისინი რომელიღაც ლიტერატორის კუბოს მიაცილებდნენ. უალდმა თქვა:

— ახლა ჩვენ ამ კაცს ვაცილებთ უკანასკნელ გზაზე. ვინ იცის, ვის რა ბედი ეწევა და ვინ გამოჰყვება ჩვენს კუბოს.

შოუმ უპასუხა:

— სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენს კუბოს ნამდვილად რომ ვერ გავყვები, ამაში დარწმუნებული ვარ.

— ნუთუ ასე ხართ დარწმუნებული, რომ ჩემზე ადრე მოკვდებით?

— არა, მე ორი თვით მივდივარ ლონდონიდან, — უთხრა ბერნარდ შოუმ.

* * *

ესპანელი მწერალი ბლასკო იბანესი განცხადებების დაფასთან შეჩერდა. სათვალე შინ დარჩენოდა და ვერაფერი წაიკითხა.

— გთხოვთ, წამიკითხოთ, რა სწერია აქ. — მიმართა მან გვერდით მდგომ რომელიღაც მამაკაცს.

— მაპატიეთ, — მიუგო უცნობმა, — მეც თქვენსავით ბედისაგან დაჩაგრული ვარ, მეც არ ვიცი წერა-კითხვა.

* * *

ვინმე დალაქმა სტაშმა ტრაგედია ლექსად დაწერა და წასაკითხად ვოლტერს გაუგზავნა. წერილი იწყებოდა სიტყვებით: „ძვირფასო თანამოკალმევ...“

საპასუხო წერილში ვოლტერი ერთსა და იმავე წინადადებას იმეორებდა ოთხჯერ.

„ბატონო ესტაშ! გააკეთეთ პარიკები, გააკეთეთ პარიკები, გააკეთეთ პარიკები...“

დალაქმა წერილი მიიღო, მეგობრებს უჩვენა და დასძინა:

— აი, ხომ ხედავთ, ვოლტერის საქმე გათავებულია. მიაქციეთ ყურადღება როგორ მეორდება იგი! როგორი ერთფეროვანი გახდა!

## უცხოური ლექსები

პოეტი ქალი ევა შტრიტმატერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დაიბადა 1930 წელს ნოე-რუპინში. 1973 წელს გამოვიდა მისი პირველი ლირიკული კრებული „სიჩუმისაგან სიმღერას ვქმნი“. და „მთვარის თოვლი ძევს მდელოებზე“. იგი მრავალი კრიტიკული წერილისა და საბავშვო წიგნის ავტორია. ევა ცნობილი გერმანელი მწერლის ერვინ შტრიტმატერის მეუღლეა.

ევა შტრიტმატერმა ლექსების წერა შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ მოკლე ხანში საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

### ევა შტრიტმატერი

### ზამთრის წინ

მე სიჩუმისგან სიმღერას შევქმნი,
სექტემბრის ნათელს
ბუნების ხელთქმნილს
კუტკალიების სევდიან სათქმელს
მე სიმღერებად
გარდავქმნი ლექსში.

ცირცელის ფოთლის
მკვეთრი ხიწითლე
და მკათათვეში
პურის სიმწიფე,
გედების ფრენა,
ცრემლის სიმწარე,
გადაჩეხილი
ხეთა სიმწვანე,
ყორნის ჩხავილი,
ფრთების თამაში
არის მრავალი
სევდა ამაში.

არის ბევრი რამ,
რაც ჩვენს თავზევით,
გაგვიხსნის სივრცეს
მაღალს და ცისფერს,
ღამით სიზმრებად
ჩამოეშვება
და ითქვიფება
ფიქრში, აზრებში.
მე სიჩუმისგან
სიმღერას შევქმნი,
სექტემბრის ნათელს
და ზამთრის სათქმელს
მე სიმღერებად
გარდავქმნი ლექსში.

### პორტრეტი

ჩემი ბებია, მხნე და
გულადი,
ნანახი მყავდა
მხოლოდ სურათით.
მრავალი შვილი
ჰყავდა ჩემსავით,
სულ გარუჯული
იყო მზესავით.
იყო ლამაზი,
ტურფა,
ტანწვრილი,
და გამოხედვა
ჰქონდა არწივის.
შეტრფოდა მზეს და
ადამიანებს,
არ იყო კუშტი,
კარჩაკეტილი,
და სიყვარულით
არ დაიღალა,
რადგან ძალიან
იყო კეთილი.

თარგმნა მედეა კახიძემ.

## ტექნიკის სიახლენი

●

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში წელს უნდა დაინერგოს მთელი რიგი ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რის შედეგადაც პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 150 ათასი მანეთით. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ ამ ოპერაციებზე დაკავებული 90 კაცი და გადავიყვანოთ ისინი სხვა უბნებზე.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ კვარტალში საწარმოში დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიური ოპერაციები, რომლებმაც ქარხანას მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მისცეს.

დანერგილია, მაგალითად, მაღალი სისალის მქონე მასალისაგან დამზადებული მჭრელი იარაღების გამოყენება. მათი მთავარი ღირსებაა სიმტკიცე, მდგრადობა, მაღალმწარმოებლობა.

ასევე საგრძნობი ეკონომიური ეფექტი მისცა საწარმოს ელბორის მჭრელი, უნივერსალური ასაწყობი სამარჯვების გამოყენებამ და სხვა მრავალმა სიახლემ.

კიროველებმა რესპუბლიკის საწარმოთა შორის პირველებმა დაამონტაჟეს და აამოქმედეს პროგრამული მართვის ავტომატები. მათი საშუალებით ამჟამად მზადდება ათობით დასახელების დეტალი, რომლებიც ექსპლოატაციის დროს ინტენსიურ დატვ[illegible]ვას განიცდიან.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება [illegible] კიროველთა ყურადღების ცენტრშია. დაგეგმი[illegible] განხორციელდეს 41 ტექნიკური ღონისძიება ჩარხების საიმედოობის გასაზრდელად. კეთდება ყველაფერი იმისათვის, რომ ახალი ხუთწლედიდან — ხარისხის ხუთწლედიდან რამდენიმე დასახელების სერიული ჩარხი წარდგენილ იქნას სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად.

●

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარკინიგზ[illegible] ჩიხიდან უჩვეულო შემადგენლობის ეშელონი გამო[illegible]იდა. მისი ვაგონები საწარმოს ძირითადი პროდუქ[illegible] — მილებით, ფოლადის ფურცლებით, ნაგლინით რ[illegible] იყო დატვირთული, არამედ... მინერალური სასუქებით, რომლის დამზადება მეტალურგებმა ისწავლეს კოქსიდან, ადრე ჰაერში უქმად გამავალი აირებიდან, თუჯისა და ფოლადის წიდისაგან, ისეთი სამშენებლო მასალებისაგან, როგორიცაა კირი და კაუსტიკური დოლომიტი, ნედლეულის სხვა ნარჩენისაგან.

ქარხანაში გამომუშავებული კოქსი ამიაკს შეიცავს. ამიაკი გოგირდმჟავასთან რეაქციაში ძვირფას მინერალურ სასუქად — ამონიუმის სულფატად გარდაიქმნება. რუსთაველმა სპეციალისტებმა სხვა ძვირფასი ტექნოლოგიაც დანერგეს: კოქსის აირში არსებული გოგირდწყალბადიდან დარიშხანისა და სოდის ხსნარის საშუალებით გამოყოფენ გოგირდს და შემდგომი გადამუშავებით შხამქიმიკატებს — კოლოიდურ გოგირდს ღებულობენ. საწარმოში კოლოიდური გოგირდის მისაღებად აგებულია სპეციალური დანადგარი. ყოველდღიურად რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებსა და ციტრუსების პლანტაციებში იგზავნება ეს შესანიშნავი შხამქიმიკატი. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება არის მასზე ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში.

წიდები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ფოსფორს და სხვა ელემენტებს, წარმატებით ცვლიან მინერალური სასუქების ზოგიერთ სახეობას. საერთოდ, ასეთი მინერალური სასუქის დამზადებაზე ჩვეულებრივი წესით უამრავი სახსარი იხარჯება. მეტალურგებს კი უფასო ნედლეული აქვთ.

## თევზის ფხიდან ავტომატამდე

სამკერვალო [illegible] ევოლუცია ძალზე ნელა მიმდინარეობდა. თევზის ფხის ნემსმა ადგილი დაუთმო ძვლის, შემდეგ კი — ლითონის ნემსს. ბიზონის ნერვის ძაფი მცენარეულმა ბოჭკომ, ტყავის თასმამ შეცვალა.

არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ქალები სათითეს იყენებდნენ. გათხრების დროს ნაპოვნი ტანსაცმელი თავისი მორთულობითა და სახოვნებით ახლაც გაოცებას იწვევს.

უძველესი ხალხები ძირითადად მონადირეობას ეწეოდნენ. ამიტომ პირველად ქსოვილი მატყლისა და ტყავისაგან მზადდებოდა. მოგვიანებით აღმოაჩინეს ისეთ მცენარეთა ბოჭკოსებრი თვისებები, როგორიცაა კანაფი და სელი. ტანსაცმელს ძველთაგანვე სხვადასხვა ელფერს აძლევდნენ.

კერვისა და ქარგვის ხელოვნებას ძველად დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ლეგენდებსა და მითებში დაწვრილებით არის აღწერილი გმირთა ჩაცმულობა. მაგალითად, „ოდისეაში“ მოხსენებულია ულისის ბრწყინვალე ლაბადა, რომლის წინა მხარე ოქრომკედით იყო ნაკერი. მატიანეები გვამცნობენ ფარაონთა და ქურუმთა ჩაცმულობის შესახებ. რასაკვირველია, შესანიშნავი გამჭვირვალე ბერძნული ტუნიკები და დიდებული რომაული ტოგები დიდ დახელოვნებას მოითხოვდნენ. ამიტომ წარმოიშვა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ძალზე წმინდა ნემსები.

XVIII საუკუნის შუა ხანებში პირველად შეეცადნენ ხელით კერვა მექანიკურით შეეცვალათ. 1755 წელს ინგლისელ ჩ. ვეიზენტალს მისცეს საგვირისტებელი მანქანის პატენტი. 1790 წელს ტ. სენტმა ჩექმების საკერავი მანქანის პატენტი მიიღო.

1829 წელს ფრანგმა ბ. ტიმონიემ ორიგინალური საკერავი მანქანა შექმნა. სამფეხაზე შედგმული ეს მანქანა მოძრაობაში ფეხით მოჰყავდათ და წუთში 200-მდე ნაკერს აკეთებდა. ეს იყო პირველი მანქანა, რომელიც „დიდი ტირაჟით“ 80 ცალის რაოდენობით გამოუშვეს. მაგრამ ამ გამოგონებას დიდი დღე არ ეწერა. მუშებს შეეშინდათ გამომუშავება შეგვიმცირდებაო და იგი გაანადგურეს. ტიმონიემ შეძლო ერთი ასეთი მანქანის გადარჩენა. მხოლოდ 1845 წელს წარმოიშვა ე. ჰოუს საკერავი მანქანა, რომელიც შემდგომში გააუმჯობესეს გიბსომ, ზინგერმა და სხვა გამომგონებლებმა. ამ დროიდან მოყოლებული საკერავი მანქანა მტკიცედ დამკვიდრდა ცხოვრებაში.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ჭრელ-ჭრელი ამბები



უველაზე ახალგაზრდა კაცი მსოფლიოში, რომელმაც უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და დიპლომი მიიღო არის 18 წლის ელმარ ედერი გარჩინგიდან (მიუნხენის მახლობლად). ელმარი ჯერ კიდევ ბავშვობაში ავლენდა განსაკუთრებულ ნიჭს მათემატიკაში. საშუალო სკოლაში მისი მასწავლებლები გაწვალებულები იყვნენ — როდესაც ელმარის თანაკლასელები გამრავლების ტაბულას სწავლობდნენ, ელმარმა უკვე ლოგარითმები და დიფერენციალები იცოდა. 12 წლის ელმარი ქალაქის ხელისუფლების ნებართვით მიიღეს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. პარალელურად იგი სასკოლო პროგრამასაც გადიოდა. 16 წლისამ ჩააბარა გიმნაზიის გამოსაშვები გამოცდები, ხოლო 2 წლის შემდეგ მათემატიკის ფაკულტეტიც დაამთავრა.

ელმარი ნორმალური ახალგაზრდაა, გატაცებულია სპორტით, განსაკუთრებით ძიუ-დოთი, დადის თხილამურებით, უკრავს ფორტეპიანოზე.

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯორჯ გილდერმა დაწერა წიგნი, რომელშიც გამოქვეყნებულია შედეგები მისი კვლევისა... უცოლო მამაკაცებზე.

როგორც გამოირკვა, უცოლო მამაკაცების ცხოვრება საკმაოდ მძიმეა. აშშ-ში დანაშაულობათა თითქმის 90 %-ს ჩადიან უცოლოები; ისინი 4-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ცოლიანები, ამთავრებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით; მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 10 წლით ნაკლებია ცოლიანებთან შედარებით.

მამაკაცებისათვის აუცილებელია ოჯახი — ასეთ დასკვნამდე მივიდა წიგნის ავტორი.

გეოლოგებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ოქროს საბადო არის ნარჩენი ოქროს მეტეორისა, რომელიც დედამიწაზე დაახლოებით 2 მილიარდი წლის წინათ ჩამოვარდა. ასეთი მეტეორის ჩამოვარდნა აღწერა ერთ-ერთ მოთხრობაში ჟიულ ვერნმა, მაგრამ ეს ამბავი დღემდე წმინდა ფანტაზიად მიაჩნიათ.

აშშ-ში, ოკლენდის შტატში, ქალაქ მაიამიში არსებობს „დამკრძალავი ინსტიტუტი"... ცხოველებისათვის, რომელსაც საკუთარი სასაფლაოც აქვს. იქ დაკრძალული არიან ძაღლები, კატები, ცხენები და ერთი ლომიც კი. ინსტიტუტს შეუძლია შეუკვეთონ კუბოები, უვავილები და სამგლოვიარო მუსიკა. ამ ინსტიტუტის მომსახურება ძალზე ძვირია; სასაფლაოზე ერთი ადგილი 500 დოლარი ღირს.

ამ ბოლო დროს ფირმამ გამოაცხადა, რომ ადამიანებს შეუძლიათ იყიდონ ადგილი სასაფლაოზე საყვარელი ცხოველების გვერდით.



## დიახ, წინასწარ გამოიცნო

ოცდაათიან წლებში ავსტრალიელმა მწერალმა ბრუნო კანეტიმ გამოსცა რომანი „მზის დაბნელება", რომელიც, მართალია, ზოგიერთ სხვა ენაზეც ითარგმნა, მაგრამ დიდი წარმატება არ ჰქონია. მკითხველებმა მალე დაივიწყეს იგი. „მზის დაბნელება" ბიბლიოთეკის თაროებზე უქმად იდო, მას არავინ კითხულობდა.

გავიდა 40 წელი. ახლა მრავალ ქვეყანაში მკითხველები სწორედ „მზის დაბნელების" შოვნას ლამობენ, აწყდებიან ბიბლიოთეკებს, რიგში დგებიან...

რა მოხდა?

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია ჭადრაკის ფანატიკოსი, ვინმე ფიშერლი. იგი ოცნებობს მოიპოვოს მსოფლიოს პირველობა ჭადრაკში (ეს ძილში ხდება) და ბოლოს და ბოლოს მიაღწევს თავის მიზანს (უნდა ითქვას, რომ ასევე ძილში).

ამის შემდეგ ფიშერლი მართავს პრეს-კონფერენციას.

„ამიერიდან ავსტრალიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავსახლდები, ჩემს გვარს ფიშერლს ფიშერად შევცვლი. სრულიად განმარტოვებით ვიცხოვრებ. თქვენ, მჟღაბნელებს, ახლოსაც კი არ მოგიშვებთ, ვითამაშებ მხოლოდ იმასთან, ვისთანაც მოვისურვებ, ჩემი პირობებით, ცხადია, დიდი ჰონორარის გადახდის შემთხვევაში".

როგორც ხედავთ, მწერალმა ყველაფერი წინასწარ გამოიცნო...






# რა არ ხდება

## ერთი უჩვეულო პროცესი

ერთი საკმაოდ უჩვეულო სასამართლო პროცესი გაიმართა იტალიაში: სასამართლომ მოისმინა ცნობილ ფეხბურთელ სანდრო მაცოლას საჩივარი ბავშვთა სათამაშოების ერთი ფირმის წინააღმდეგ. ამ ფირმის ნაწარმი — თოჯინები, რომლებსაც მილანის კლუბ „ინტერის" საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის სახეები აქვთ, მთელ იტალიაში იყიდება.

— ჩემი სახე მე მეკუთვნის, — განაცხადა მაცოლამ — და არავის ვაძლევ უფლებას იგი სავაჭრო საგანი გახადოს.

— ცნობილი პიროვნება საზოგადოების პროდუქტია და მისი გარეგნობა არ შეიძლება კერძო საკუთრებად ჩაითვალოს, — მიუგო სათამაშოების ფირმის ადვოკატმა.

მართლაცდა ვის ეკუთვნის მაცოლას გარეგნობა?

ადვოკატების ფიცხელი დავა ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაწყდა. პროცესი მოიგო მაცოლამ. მაშ, ასე, სანდრო მაცოლას სახე ეკუთვნის... სანდრო მაცოლას.

## ორჯერ გარდაიცვალა... ორ დღეში

ეს უცნაური ისტორია გამოჩენილ იტალიელ მეკარე დინო ძოფს შეემთხვა. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ნაცნობებსა და უცნობებს უმტკიცებდა, ცოცხალი ვარო.

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იტალიის ტელევიზიამ გადასცა სენსაციური ცნობა: ტურინის მახლობლად ავტომანქანები შეეხალნენ ერთმანეთს, რის შედეგად დაიღუპა მეკარე დინო ძოფიო. ცნობა ორჯერ გადაიცა — ჯერ სამშაბათს, შემდეგ ოთხშაბათს, მაგრამ შეცდომის გამოსწორებას მაინცდამაინც როდი ჩქარობდნენ. ამიტომ ამ მხრივ ინიციატივა ისევ ძოფიმ გამოიჩინა.

„თუკი სწორია იმის მტკიცება, რომ ადამიანს, რომლის სიკვდილის ცნობა—ყალბი აღმოჩნდა, დიდხანს სიცოცხლე უწერია, მაშ ჩემი საქმე კარგად ყოფილა. მე ორჯერ დამმარხეს, ჯერ სამშაბათს, შემდეგ კი ოთხშაბათს, ვის მოსვლია ასე — ორი დღის განმავლობაში ორჯერ მომკვდარიყო და ორჯერვე აღმდგარიყო მკვდრეთით?"





# ჩემი ცოლი და მისი სიზმრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტული მოთხრობა

ჩვენს ოჯახში ყოველი პრობლემა თუ დიპლომატიური უთანხმოება დილით, საუზმის დროს უნდა გადაიჭრას — ან მთლად გაუარესდეს და აშკარა კონფლიქტში გადაიზარდოს.

დილის საუზმის დროს თალიკო, ჩემი სიდედრი, ალმაცერად გადმომხედავს, ფინჯანს ორი თითით აიღებს, ოდნავ მოკაკულ, წითელფრჩხილებიან ნეკს ჩემსკენ გამოიშვერს და ამბობს:

— უცნაური სიზმარი ვნახე. ვითომ ვეებერთელა მარმარილოს სვეტებიან ბანკთან ვიდექი. უამრავი ხალხი ირეოდა და სალაროსთან ეს შევნიშნე...

სიზმარი დამთავრებული არ აქვს, რომ ჩემი ცოლი ნუციკო წიგნების კარადიდან „ეფრემვერდს“ მოარბენინებს.

— „ბანკი თუ ნახო, სიმდიდრისა და სიხარულის ნიშანია...“ შენ, ვაჟბატონო, ამ თვეში მგონი, პრემია უნდა აგელო, არა?!

ამის შემდეგ ოცდახუთმანეთიანებით სასიამოვნოდ გამობერილი ჩემი ჯიბე იცლება და შიგ ორი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკიღა რჩება ჯიბის ფულად.

ასეა თითქმის კვირაში სამჯერ. ახლა ზაფხული მოდის და ვგრძნობ, ჩემი სიდედრი ახალ სიზმარს არ ამაცდენს.

იმ დილით ქალბატონ თალიკოს ჩემსკენ არც გამოუხედავს, ისე მტკიცე ხმით დაიწყო, თითქოს სიზმარი კი არა, ორსერიანი ამერიკული ფილმი ენახოს:

— ბავშვები დამესიზმრნენ, ახალი საზაფხულო ფეხსაცმელები ეცვათ, წყალში ჭყუმპალაობდნენ, შენც იმათთან ერთად იყავი...

ნუციკომ შარი-შურით გადაშალა „ეფრემვერდი“.

— „ბაშმაკების ჩაცმა, შორეული გზის ნიშანია. ბანაობა ნიშნავს გულის სურვილის აღსრულებას“. კარლო, ამ ზაფხულს ბავშვები ზღვაზე უნდა წავიყვანოთ!

— კი, მაგრამ შენ ხომ სოფელში აპირებდი?!.

— სოფელი არ გამაგონო! მეშჩანინ! ერთხელ მეც ადამიანურად დამასვენე. სხვათა შორის, დედიკო, მეც ვნახე სიზმარი. ვითომ ახალი აბრეშუმის კაბა გეცვა, ძალიან გიხდებოდა და ზოოპარკში ვიყავით, აქლემებს ვუყურებდით...

„ეფრემვერდმა“ მაშინვე ქალბატონ თალიკოსთან გადაინაცვლა და აღაღადდა:

— „ახალი რაიმე ნახო, უცხოეთში წახვალ და უცხო ხალხს ნახავ. აბრეშუმი ნახო ან იყიდო, ნიშნავს სურვილის ასრულებას. აქლემზე აკიდება საპალნისა კეთილია და მოგებას ნიშნავს“.

— გესმის? — ისეთი ტონით მკითხა ნუციკომ, ყოველგვარი გაუგებრობა გამორიცხული იყო.

—- კი, მაგრამ...

— გამაგიჟებს ამის „კი, მაგრამ“! რა არის, კაცო, აქ გაუგებარი? დედას ათი წელია ღვიძლი აწუხებს და კარლოვი ვარში უნდა წასვლა... ვერ გაიგე, ახალი აბრეშუმის კაბა ეცვა... იმკურნალებს კიდეც და ბავშვებსაც რაღაცას ჩამოუტანს!

ქალბატონი თალიკო ისეთი სახით მიირთმევდა ჩაის, თითქოს ეს საუბარი იოტის ოდენადაც არ აინტერესებდა.

— ამ კვირაში იშოვნი კარლოვი ვარის საგზურს, უარი არ გამაგონო, თორემ გავგიჟდები!

ისტორია მრავალ ბრძოლათა ამბავს გადმოგვცემს, როდესაც მტერი თავისივე იარაღით, ან მოგონილი ფანდით დაუმარცხებიათ და უხსნიათ თავი დიდი განსაცდელისაგან.

ყურად ვიღე ისტორიის ეს ბრძნული გაკვეთილი და ღრმად გააზრებული სტრატეგიული შეტევა წამოვიწყე.

— უცნაური ამბავია, — ვითომ სხვათა შორის ვთქვი ერთ დილით და თალიკო პორფილოვნას ახალი სიზმარი პირზე შევაციე, -- მე საერთოდ სიზმარი რა არის, არ ვიცი, მაგრამ წუხელ საოცარი რამ დამესიზმრა: ვითომ ქალბატონ თალიკოს პატარა ბავშვები ეხვია გარს, ბნელ ადგილას იჯდა, თავს ავი ანგელოზი დასტრიალებდა...

ნუციკომ გაკვირვებისა და შიშისაგან ააფახულა თავისი დიდი მწვანე თვალები, შემდეგ ზედ ცრემლი გამოენასკვა და წიგნი არც მოუტანია, ისე ჩამოთვალა:

— „პატარა ბავშვი სურდოსა და ავადმყოფობას ნიშნავს, ბნელ ადგილას ჯდომა მეტისმეტი ცუდისა და აუგის ნიშანია, ავი ანგელოზის ნახვა ერთობ ცუდია, რაიმე განსაცდელში ჩავარდება ადამიანი...“

ისეთი იერი მივიღე, თითქოს ვნანობდი, ასეთი სიზმარი რომ ვნახე.

საუზმე უხმოდ დავამთავრეთ. მხოლოდ აშლისას ნუციკომ ერთხელ კიდევ შეშფოთებით შეავლო თვალი დედამისს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— დედიკო, იქნებ ისევ სოფელში წავსულიყავით?!.

ჩემი ციხის ბასტიონზე გამარჯვების ბუკ-ნაღარის ხმა გაისმა.

მოწინააღმდეგის საბოლოოდ გასანადგურებლად ერთი შეტევაღა იყო საჭირო და მეც არ დავაყოვნე; მეორე დილით ყოველგვარი შესავალის გარეშე დავიწყე:

— თალიკო პორფილოვნა, თქვენი ქმარი ვნახე, ბატონი სავლე, ვითომ საქორწილოდ იყო გამოწყობილი, ხელში ორი გვირგვინი ეჭირა და გიჭვრეტდათ ანთებული თვალებით...

— მობერებული იყო? — ძლივს ამოიკვნესა სიდედრმა.

ნუციკო თითქმის გულწასული მიესვენა სკამზე.

— კი, საკმაოდ, — არც დავფიქრებულვარ, ისე მივუგე.

— ხელში ანთებული სანთლები ხომ არ ეჭირა?!

— დიახ, ორი საქორწილო შანდალი და თქვენ გიხმობდათ...

თალიკო პორფილოვნა წელში გასწორდა, ფინჯანი ორი თითით აიღო და ტუჩამრეზილმა დაუდევრად გადმოაგდო:

— „ანთებული სანთელი ბედნიერი და ფართო ცხოვრების ნიშანია!“...

მგონი, რაღაც შემეშალა... ხავსს მოვეჭიდე:...

— თქვენი ქმარი?!.

— „ბერი ქმარი თუ ნახო მკვდარი, ცოლმა დიდხანს იცოცხლოს!“

ჩაი სასულეში გადამცდა.

— ხვალვე კარლოვი ვარის საგზური გააჩინე აქ, შე გაიძვერა, შენა! — ელვასავით გაიკლაკნა ოთახში ნუციკოს კივილი.

**ზურღან გემაზაშვილი**

## ოპერის თეატრი ხარაჩოებში

(დასასრული. დასაწყისი იხ. მე-10 გვ.)

ბელი. თბილისელი მაყურებელი კი ამ მხრივ საკმაოდ განებივრებულია ოპერის თეატრის დაარსების დღიდანვე. ჯერ კიდევ 1851 წელს აგებული პირველი სახაზინო თეატრი, ეგრეთ წოდებული „ქარვასლის თეატრი“, თანამედროვეთა გადმოცემით, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა ყოფილა. სხვა რომ არა იყოს რა, საამისოდ მარტო ალექსანდრე დიუმას სიტყვებიც კმარა: თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავსო. დასაწუნი არც ჩვენს საოპერო შენობას ჰქონდა, მაგრამ განახლებული შენობა გაცილებით უკეთესი იქნება. ასეა გათვალისწინებული პროექტით და მშენებლებიც არაფერს იშურებენ, ამ პროექტს ხორცი რომ შეასხან.

შენობამ, მართლაც, განიცადა ერთგვარი ცვლილება. ყველაზე უფრო ეს სცენის ნაწილს ეტყობა. სცენას გვერდებიდან „ჯიბეები“ მიუშენდა, საც სხვადასხვა დამხმარე სათავსოები მოეწყობა. თვით სცენა თორმეტი მეტრიდან თექვსმეტ მეტრამდე გაფართოვდა და გაღრმავდა. გადაკეთდა მაყურებელთა დარბაზი. თბილისელ მაყურებელს მაინცდამაინც არ უყვარდა გვერდითი იარუსის ლოჟებში ჯდომა. იქიდან სცენა ცუდად ჩანდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ადრე დარბაზს ელიფსის ფორმა ჰქონდა, ახლა იგი ოვალური ფორმისაა, და სცენა ყველა ადგილიდან კარგად გამოჩნდება.

**— მშენებლობაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივი მუშაობს, მათ რიცხვში უთუოდ ჩამორჩენილებიც იქნებიან და მოწინავენიც, რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— მშენებლობაზე ყოველდღიურად 250-მდე კაცი მუშაობს, მაგრამ ჩამორჩენილები, შეიძლება ითქვას, არ გვყავს. ამის საშუალებას მათ არც მშენებლობის ტემპი აძლევთ და არც გრაფიკი. კოლექტივი ძირითადად მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული და ყოველი მათგანი ღვიძლ საქმედ თვლის მშენებლობას. ძნელია მოწინავეთა გამოყოფა, მაგრამ მაინც შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი. მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან უბნის უფროსები: გ. მახარაძე, შ. ხომერიკი, გ. ჭანტურია, გ. ჩიტაიშვილი; სამუშაოს მწარმოებლები: გ. ხარაიშვილი, ჯ. სუხიშვილი, მ. კუპრაშვილი, კ. გოგუაძე; დურგლები: ა. და რ. არეშიძეები, გ. მანველაძე; მეარმატურე: შ. ლუტიძე; ელექტროშემდუღებლები: ლ. კაპანაძე, კ. ეჯიბია; მებეტონეები: ა. თაგურიძე, გ. კაპანაძე.

კოლექტივის საქმიანობას კარგად უძღვება სამმართველოს მთავარი ინჟინერი გ. გაბეჩავა.

**— როგორც ადრე გვითხარით, ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მშენებლებს კი მხოლოდ ერთი წელიღა დარჩათ. როგორ ფიქრობთ, მოესწრება შენობის დამთავრება დათქმულ ვადებში?**

— დღემდე გაკეთებულით თუ ვიმსჯელებთ, — მოესწრება!

მშენებლები ცდილობენ, არც ერთი წუთი არ დაკარგონ. მუშაობა წარმოებს სამ ცვლად, დღისით და ღამით. თუ გავითვალისწინებთ ზემდგომი ორგანოების შეუნელებელ ყურადღება-დახმარებას და მას მშენებელთა ენთუზიაზმზე გადავამრავლებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მომავალი წლის თეატრალური სეზონის გახსნას თბილისელები ოპერის ახალ შენობაში იზეიმებენ.

საუბარი ჩაიწერა შ. ცირეკიძემ



— ძალიან ნელა გიცემთ პულსი.
— გეჩქარებათ სადმე?



— ჩვენი დირექტორი არაფერს აკეთებს და დამსვენებლებს მაგალითს აძლევს.









მხატვარი
ჯემალ ლოლუა

— რა ქენი, იშოვე ბიჭვინთის საგზური?
— რომ გითხრა, ვიშოვე-მეთქი, დამიჯერებ?



— კაცო დაეხმარე ბავშვს მაგალითების გამოყვანაში.
— ქალო, არ გაგიგია, რეპეტიტორობა რომ აკრძალეს?!

გარეკანის პირველ გვერდზე: სვანეთი დღეს. ფოტოეტიუდები თარხან არჩვაძისა.

გადაეცა ასაწყობად 9/VII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VIII-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 2812 უე 02007 ფასი 80 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უშბა.

# საქართველოს მთებში

არსენ ჩარკვიანის ფოტო.

ქვემო სვანეთი. ჩანჩქერი დაბა ყორულდაში.






ლებარდეს გზაზე.

რაჭის მთებში



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკო ფიროსმანაშვილის ძეგლი თბილისში.

მოქანდაკე ე ლ გ უ ჯ ა ა მ ა შ უ კ ე ლ ი.